ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 3 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

საბა ნათენაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრ(ებ)ი:

- ფიქრია მახარაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- ვერა სომხიშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
- თეა მათითაიშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- ქეთევან ლარცულიანი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- თამთა პეტრიაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- ნაია ენდელაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- ოლიკო კილაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
- ინგა დარსაველიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- გიორგი ბერძულიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
- საბა დარსაველიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237095898

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ოზურგეთი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ოზურგეთი ბათუმის ქუჩა N87
საფოსტო ინდექსი	3500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ozurgeti3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591174333

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 5 თებერვლის MES 7 26 0000123891 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 25, 26 თებერვალი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ქ. ოზურგეთი. ბათუმის ქუჩა N 87 , ერთი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ქ. ოზურგეთი. ბათუმის ქუჩა N 87 , ერთი შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	ქ. ოზურგეთი. ბათუმის ქუჩა N 87 , ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 25 და 26 თებერვალს **სსიპ ქალაქ ოზურგეთის № 3 საჯარო სკოლაში** განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულება.

თანამშრომლობისა და ერთიანი მიდგომის განხილვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე ჩამოაყალიბა და შეათანხმა დღის წესრიგი, განიხილა სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შინაარსობრივი და ტექნიკური მხარე, რის საფუძველზეც ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლას გაეგზავნა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ხარისხის ორი ექსპერტითა და საგნობრივი ექსპერტებით. საგნობრივი ექსპერტები კათედრების წამომადგენლებს, დისტანციურად, Google meet პლატფორმის გამოყენებით გაესაუბრნენ, ხოლო ხარისხის ექპერტებმა ინტერვიუები ჩაატარეს სკოლაში: დაწესებულების დირექციასთან, პედაგოგებთან, სპეც მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულება ორგანიზებული შეხვდა ექსპერტთა ვიზიტს, რამაც პროცესის უწყვეტობას შეუწყო ხელი. პროცესის ბოლოს ექპერტებმა სკოლის კოლექტივს გააცნეს მათი მიგნებები, შეაჯამეს ის რჩევები და რეკომენდაციები რომლებიც გაიცა ვიზიტის ფარგლებში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 500	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლის ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატის შერჩევა და აყვანა.*
ინდიკატორი N.3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლის ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატის შერჩევა და აყვანა.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი <u>საბაზო განათლების</u>*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლას მიეცეს რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში მოაწყოს სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *<u>საშუალო განათლების</u>* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლას მიეცეს რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში მოაწყოს სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	*კვლევის მეთოდოლოგიისა და კითხვარების შერჩევის პროცესში, სკოლამ შეიმუშავოს მეტად მიზნობრივი და სიღრმისეული შეკითხვები, რათა კვლევის ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია იყოს მეტად ობიექტური.*
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	*სასურველია, სკოლამ სტრატეგიულ გეგმაში დააკონკრეტოს მისიით გაცხადებული გაძლიერებული მიმართულებების შესაბამისი ამოცანები.*
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	*სკოლას ეძლევა რჩევა, რომ სტრატეგიულ გეგმაში შესატანი ცვლილების საფუძველზე განახორციელოს სამოქმედო გეგმის მოდიფიცირება, შესაბამის ამოცანასთან მიზნობრივი აქტივობების მითითებით.*
ინდიკატორი N1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	• *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, შემოთავაზებულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა. სასურველია სკოლამ სამოქმედო გეგმის ანგარიშში მიუთითოს რომელი ალტერნატიული გზით ხელმძღვანელობს.* • *სამოქმედო გეგმის ანგარიშში სასურველია არ იყოს გამორჩენილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული არცერთი აქტივობა.*

		• *სასურველია, რომ წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშის ჩარჩო-დიაზაინი ემთხვეოდეს განხორციელებული სამოქმედო გეგმის ანგარიშის ჩარჩო-დიზაინს.* • *სასურველია, რომ სამოქმედო გეგმის ანგარიშის ჩარჩო-დიზაინი, მიემართებოდეს სამოქმედო გეგმის ჩარჩო-დიზაინს. აღნიშნული რჩევა სკოლას დაეხმარება, რომ ეფექტურად გააანალიზოს გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მაჩვენებლები.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	• *სასურველია სკოლის სტრუქტურაში გათვალისწინებული იყოს, სამტატო განრიგით გაწერილი ყველა პოზიცია.* • *სასურველია საიტზე განთავსებული სკოლის სტრუქტურის ორგანოგრამა შეესაბამებოდეს სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურას.*
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	*სასურველია სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს „კონკურსის ჩატარების წესი და პირობები“.*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან	• *სასურველია სველ წერტილებში სკოლამ უზრუნველყოს ფანჯრების გადმოკიდების მექანიზმით აღჭურვა.*

	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	• *სასურველია სკოლამ უზრუნველყოს სამსახურში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.*
ინდიკატორი N3.7.1.1	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება	იქამდე, სანამ დაკმაყოფილდება სკოლის მოთხოვნა ლაბორატორიებით უზრუნველყოფის შესახებ, *სკოლის შესყიდვების წლიურ გეგმა, ოფტიმიზაციის საფუძველზე დაკორექტირდეს და გაიზარდოს „ლაბორატორიული მომსახურებების“ ხვედრითი წილი, რათა სკოლაში შესაძლებელი იყოს მარტივი ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* <u>*დაწყებითი განათლების*</u> *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
*ინდიკატორი N*2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	<u>*სპორტი*</u> *სასურველია სასკოლო კურიკულუმები მეტად გამრავალფეროვნდეს სამივე საფეხურზე. თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა.)* <u>*მათემატიკა*</u>

		კარგი იქნება, თუ ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, პროექტი თუ კომპლექსური დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***<u>მათემატიკა</u>*** *მიზანშეწონილია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ*

		ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** ***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>*** *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უმჯობესია, სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. ასევე, დეტალურად იქნეს გაწერილი მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***<u>მათემატიკა</u>*** *მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს.*

ინდიკატორი N 2.2.2.1.	*ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>* *სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი და ელექტრონული რესურსებისა, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ვირტუალური და რეალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.* *<u>მათემატიკა:</u>* *მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს იმ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლებიც თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელება მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმინებისგან. ვთვლი, რომ როგორც სილაბუსებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენებული უნდა იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინების გამოყენებას.*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *<u>საბაზო განათლების</u>* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
*ინდიკატორი N*2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*<u>სპორტი</u>* *სასურველია სასკოლო კურიკულუმები მეტად გამრავალფეროვნდეს სამივე საფეხურზე. თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა.)*

		<u>მათემატიკა</u> *კარგი იქნება, თუ ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, პროექტი თუ კომპლექსური დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერები</u>*** *საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები (მაგ: ბიოლოგიის მეცხრე კლასის მეორე სავალდებულო თემად მითითებულია „შეგრძნების ორგანოები“, უნდა ეწეროს „ადამიანის შერძების ორგანოები“) და სამიზნე ცნებები (მაგ: ქიმიის მეათე კლასის მეორე სავალდებულო თემის მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია ცნება „ნივთიერების რაოდენობრივი მახასიათებელი“, ასეთი ცნება ქიმიაში არ არის) გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, ყველა ძირითადი საკითხი გარკვევით და სრულყოფილად იყოს განსაზღვრული (მაგ: ქიმიის მეთერთმეტე კლასის მესამე სავალდებლო თემასთან პირველ ძირითად საკითხად მითითებულია „ჟანგვა-აღდგენის“).* *საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეაში მითითებული იყოს, თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ (მაგ: ფიზიკის მეთერთმეტე კლასის მესამე სავალდებულო თემის პირველი ძირითად საკითხთან მითითებულია „შექმნან*

		პრეზენტაცია“, პრეზენტაცია არ არის შემოქმედებითი პროდუქტი, პირიქით, ყველა შემოქმედებით პროდუქტს სჭირდება პრეზენტაცია), ამავდროულად, მკაფიოდ ჩანდეს, თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტირების დროს (მაგ: ქიმიის მეათე კლასის პირველი სავალდებლო თემის პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია „პოსტერის საშუალებით, პერიოდულობის ცხრილის ზოგიერთ ელემენტის ელექტრონული კონფიგურეციის განლაგების წარმოჩენა“, ელემენტის კონფიგურაციის წარმოჩენა არის ერთ - ერთი აქტივობა აღნიშნული ძირითადი საკითხის შესასწავლად). *ბიოლოგიის მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში არ არის გაწერილი მეორე სავალდებულო თემა „ვირუსიდან ადამიანამდე“ (სავარაუდოდ გამორჩათ, თუმცა უნდა გაიწეროს).* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *საგაზო და საშუალო საფეხურზე, ყველა კლასისა თუ საგნის კურიკულუმი უნდა იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ყველა საგანში უნდა იყოს გამოყენებული ერთნაირი ჩარჩო დოკუმენტი კურიკულუმისა; ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს სავალდებულო თემების სახელწოდება სტანდარტის შესაბამისად, თითოეულ თემაში უნდა მუშავდებოდეს საგნის ფარგლებში არსებული ყველა სამიზნე ცნება, აქვე უნდა განისაზღვრის და მიეთითოს ქვეცნებებიც; ასევე უმჯობესია დაამატოთ ჰორიზონტალური სვეტები და თემის ფარგლებში დასამუშავებელი თითოეული საკითხი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულად ჩამოშალოთ, ასე უფრო მკაფიოდ გამოჩნდება თუ რომელ საკითხთან მიმართებით რა სამიზნე ცნება და ქვეცნება დამუშავდება; კონტექსტ-მაგალითის ველში ჩაწერეთ კონკრეტული ქეისი, რომლითაც ფიქრობთ ვრცელი საკითხის განხილვა-დამუშავებას და მასზე შემოქმედებითი ხასიათის დავალების დანერგვას, კონტექსტ-მაგალითის დაჯგუფება არ ხდება; კომპლექსური დავალების იდეა- ველში არ არის საჭირო კომპლექსური დავალების პირობის გადმოტანა, საკმარისი იქნება*

		ჩანდეს თუ რა საკითხთან მიმართებით რა სახის პროდუქტი უნდა შეიქმნას, ასევე არ არის აუცილებელი ათეულობით „შედარების მაგალითის“ მოყვანა, არც სტანდარტის შედეგების მითითებაა საჭირო კურიკულუმში, გამოყენებული რესურსების ველში მიუთითეთ სახელმძღვანელოს ავტორი, გამომცემლობა, პარაგრაფის ნომერი და გვერდი, ასევე კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით დამატებითი ინტერნეტ-რესურსები. *მასწავლებლებს ვიზიტის პირველივე დღეს მივეცი უკუკავშირი გამოსასწორებელი საკითხების შესახებ, რაც უმეტესწილად გაიზიარეს და ერთი დღის ვადაში რამდენადაც შესაძლებელი იყო განახლებული ფორმით მომაწოდეს დოკუმენტები ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში, ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა გაითვალისწინონ რჩევები და მეტად დახვეწონ კურიკულუმების ჩარჩოები.* ***<u>მათემატიკა</u>*** *მიზანშეწონილია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში*

		ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს.
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** *საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებში (მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) უფრო მკაფიოდ აისახოს გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებები.* ***<u>მათემატიკა</u>*** *მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს.*

ინდიკატორი N 2.2.2.1.	*ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>* *სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი და ელექტრონული რესურსებისა, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ვირტუალური და რეალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *<u>საშუალო განათლების</u>* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*<u>სპორტი</u>* *სასურველია სასკოლო კურიკულუმები მეტად გამრავალფეროვნდეს სამივე საფეხურზე. თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა.)* *<u>მათემატიკა</u>* *კარგი იქნება, თუ ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, პროექტი თუ კომპლექსური დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვა.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერები</u>* *საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები (მაგ: ბიოლოგიის მეცხრე კლასის მეორე სავალდებულო თემად მითითებულია „შეგრძნების ორგანოები“, უნდა ეწეროს „ადამიანის შერძების ორგანოები“)*

		და სამიზნე ცნებები (მაგ: ქიმიის მეათე კლასის მეორე სავალდებულო თემის მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია ცნება „ნივთიერების რაოდენობრივი მახასიათებელი“, ასეთი ცნება ქიმიაში არ არის) გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, ყველა ძირითადი საკითხი გარკვევით და სრულყოფილად იყოს განსაზღვრული (მაგ: ქიმიის მეთერთმეტე კლასის მესამე სავალდებლო თემასთან პირველ ძირითად საკითხად მითითებულია „ჟანგვა-აღდგენის“). *საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საგაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეაში მითითებული იყოს, თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ (მაგ: ფიზიკის მეთერთმეტე კლასის მესამე სავალდებულო თემის პირველი ძირითად საკითხთან მითითებულია „შექმნან პრეზენტაცია“, პრეზენტაცია არ არის შემოქმედებითი პროდუქტი, პირიქით, ყველა შემოქმედებით პროდუქტს სჭირდება პრეზენტაცია), ამავდროულად, მკაფიოდ ჩანდეს, თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტირების დროს (მაგ: ქიმიის მეათე კლასის პირველი სავალდებლო თემის პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია „პოსტერის საშუალებით, პერიოდულობის ცხრილის ზოგიერთ ელემენტის ელექტრონული კონფიგურეციის განლაგების წარმოჩენა“, ელემენტის კონფიგურაციის წარმოჩენა არის ერთ - ერთი აქტივობა აღნიშნული ძირითადი საკითხის შესასწავლად). *ბიოლოგიის მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში არ არის გაწერილი მეორე სავალდებულო თემა „ვირუსიდან ადამიანამდე“ (სავარაუდოდ გამორჩათ, თუმცა უნდა გაიწეროს).* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *საგაზო და საშუალო საფეხურზე, ყველა კლასისა თუ საგნის კურიკულუმი უნდა იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ყველა საგანში*

		უნდა იყოს გამოყენებული ერთნაირი ჩარჩო დოკუმენტი კურიკულუმისა; ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს სავალდებულო თემების სახელწოდება სტანდარტის შესაბამისად, თითოეულ თემაში უნდა მუშავდებოდეს საგნის ფარგლებში არსებული ყველა სამიზნე ცნება, აქვე უნდა განისაზღვრის და მიეთითოს ქვეცნებებიც; ასევე უმჯობესია დაამატოთ ჰორიზონტალური სვეტები და თემის ფარგლებში დასამუშავებელი თითოეული საკითხი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულად ჩამოშალოთ, ასე უფრო მკაფიოდ გამოჩნდება თუ რომელ საკითხთან მიმართებით რა სამიზნე ცნება და ქვეცნება დამუშავდება; კონტექსტ-მაგალითის ველში ჩაწერეთ კონკრეტული ქეისი, რომლითაც ფიქრობთ ვრცელი საკითხის განხილვა-დამუშავებას და მასზე შემოქმედებითი ხასიათის დავალების დანერგვას, კონტექსტ-მაგალითის დაჯგუფება არ ხდება; კომპლექსური დავალების იდეა- ველში არ არის საჭირო კომპლექსური დავალების პირობის გადმოტანა, საკმარისი იქნება ჩანდეს თუ რა საკითხთან მიმართებით რა სახის პროდუქტი უნდა შეიქმნას, ასევე არ არის აუცილებელი ათეულობით „შედარების მაგალითის“ მოყვანა, არც სტანდარტის შედეგების მითითებაა საჭირო კურიკულუმში, გამოყენებული რესურსების ველში მიუთითეთ სახელმძღვანელოს ავტორი, გამომცემლობა, პარაგრაფის ნომერი და გვერდი, ასევე კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით დამატებითი ინტერნეტ-რესურსები. *მასწავლებლებს ვიზიტის პირველივე დღეს მივეცი უკუკავშირი გამოსასწორებელი საკითხების შესახებ, რაც უმეტესწილად გაიზიარეს და ერთი დღის ვადაში რამდენადაც შესაძლებელი იყო განახლებული ფორმით მომაწოდეს დოკუმენტები ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში, ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა გაითვალისწინონ რჩევები და მეტად დახვეწონ კურიკულუმების ჩარჩოები.* ***<u>მათემატიკა</u>***

		მიზანშეწონილია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს.
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** *საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებში (მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) უფრო მკაფიოდ აისახოს გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებები.* ***<u>მათემატიკა</u>***

		მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	*ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>*** *სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი და ელექტონული რესურსებისა, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ვირტუალური და რეალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

*ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას . დოკუმენტაციის დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ გამოვლენილი ხარვეზები , კერძოდ ინდიკატორი **3.1.2.4 (პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულების შემუშავება და დამტკიცება)** და ინდიკატორი **2.1.2.5 (მოსწავლეთა შეფასების სისტემა)** , სკოლის მიერ სათანადოდ არის გააზრებული. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია , რის საფუძველზეც აღნიშნული ინდიკატორები სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება **3.4.1.1** ინდიკატორთან მიმართებით , რომელიც ეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებასა და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებას , შესაბამისად ინდიკატორი **3.4.1.1** სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა , რომლის მიხედვითად კვლავ მეტწილ შესაბამისობაში რჩება ინდიკატორები **3.1.2.4**; **3.4.1.2** და **2.2.2.3***

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიასა და ხედვაში ყურადღება გამახვილებულია 21-ე საუკუნის უნარებსა და კომპეტენციებზე, ფორმალური და აფორმალური განათლების მნიშვნელობაზე, პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნასა და სწავლების გაძლიერებულ მიმართულებებზე. აღნიშნული მისია და ხედვა ხელს უწყობს მოსწავლეს იყოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო შრომით ბაზარზე.

ინდიკატორი 1.1.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიისა და ხედვის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, რაც ხელს შეუწყობს 21-ე საუკუნისთვის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას, განათლების უწყვეტობას, კონკურენტუნარიან გარემოში თავის დამკვიდრების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 1.1.1.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მისიის ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში, ჩართული იყვნენ: სკოლის მასწავლებლები, დირექცია, მშობლები და მოსწავლეები. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის მიერ, კვლევის ანალიზის საფუძველზე მოხდა მისიის ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება.

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნილი კვლევის კითხვარები, რაც ცხადყოფს აღნიშნულ პროცესში დაინტერესებულ პირთა მაღალ ჩართულობას.

ინდიკატორი 1.1.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: ***კვლევის მეთოდოლოგიისა და კითხვარების შერჩევის პროცესში, სკოლამ შეიმუშავოს მეტად მიზნობრივი და სიღრმისეული შეკითხვები, რათა კვლევის ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია იყოს მეტად ობიექტური.***

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადეოების მიერ. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მისიის ხედვისა და ღირებულებების პროექტი, სხვადასხვა საშუალებით გაზიარდა: მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. სკოლამ მიიღო უკუკავშირი ყველა დაინტერესებული პირისგან, რის საფუძველზეც დამტკიცდა აღნიშნული პროექტი.

ინდიკატორი 1.1.1.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის სივრცეში, საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლა“ . იგი სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი.
2. მოსწავლეთა კითხვარები.
3. მშობელთა კითხვარები.
4. პედაგოგებთან სკოლის ფილოსოფიური დოკუმენტის პროექტის გაცნობის შესახებ ოქმი.
5. მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სკოლის ფილოსოფიური დოკუმენტის პროექტის გაცნობის შესახებ ოქმი.
6. დამრიგებელთა ანგარიშები.
7. სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს: თანამონაწილეობა; სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება; გამჭვირვალობა; ანგარიშვალდებულება. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია SWOT ანალიზის შედეგები, სადაც ასახულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე სკოლის შესაძლებლობები და საფრთხეები.

ინდიკატორი 1.2.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და მიემართება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებებისკენ. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 10 დეკემბრის №6 ოქმით. სტრატეგიული გეგმის მიზნებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსების განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ოსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება SWOT ანალიზს, მოიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს, რომელთა შესრულება გაწერილია შვიდ სასწავლო წელზე.

ინდიკატორი 1.2.1.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: *სასურველია, სკოლამ სტრატეგიულ გეგმაში დააკონკრეტოს მისიით გაცხადებული გაძლიერებული მიმართულებების შესაბამისი ამოცანები.*

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სტრატეგიული გეგმის მსგავსად ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, 2025 წლის 10 დეკემბრის №6 ოქმით. სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, რომლებიც წარმოადგენს სტრატეგიული მიზნების მიღწევის საშუალებებს. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი 1.2.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: *სკოლას ეძლევა რჩევა, რომ სტრატეგიულ გეგმაში შესატანი ცვლილების საფუძველზე განახორციელოს სამოქმედო გეგმის მოდიფიცირება, შესაბამის ამოცანასთან მიზნობრივი აქტივობების მითითებით.*

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ის მიზანი და ამოცანა, რომელიც გაცხადებულია სტრატეგიულ გეგმაში. ასევე განსაზღვრულია მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების გაზომვადი ვადები, შესრულების ინდიკატორები და აქტივობების დაკმაყოფილებისთვის საჭირო რესურსები.

ინდიკატორი 1.2.1.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 10 ოქტომბრის ბრძანება №2-138;
2. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
3. სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 10 დეკემბრის ოქმი №6;
4. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლიგიის მე-12 თავში განხილულია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა და ის პროცედურები, რომლის დაცვითაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროცესი. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ივნისში, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება, გეგმის ვალიდურიბის პერიოდში ორჯერ. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაწერილია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა.

ინდიკატორი 1.2.2.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვიზიტის ფარგლებში, სკოლამ წარმოადგინა 2025-26 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პირველი სემესტრის ანგარიში. ანგარიში მოიცავს დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალს, შესრულების ინდიკატორებს, დამდგარ შედეგებსა და გამოწვევებს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. პირველი სემესტრის შეფასებისთვის წარმოდგენილია მოსწავლეთა კითხვარი, კითხვარიდან მიღებული ინფორმაცია გაანალიზებულია და ასახულია სამოქმედო გეგმის ანგარიშში.

ინდიკატორი 1.2.2.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, შემოთავაზებულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა. სასურველია სკოლამ სამოქმედო გეგმის ანგარიშში მიუთითოს რომელი ალტერნატიული გზით ხელმძღვანელობს.*

რჩევა: *სამოქმედო გეგმის ანგარიშში სასურველია არ იყოს გამორჩენილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული არცერთი აქტივობა.*

რჩევა: *სასურველია, რომ წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშის ჩარჩო-დიაზაინი ემთხვეოდეს განხორციელებული სამოქმედო გეგმის ანგარიშის ჩარჩო-დიზაინს.*

რჩევა: *სასურველია, რომ სამოქმედო გეგმის ანგარიშის ჩარჩო-დიზაინი, მიემართებოდეს სამოქმედო გეგმის ჩარჩო-დიზაინს. აღნიშნული რჩევა სკოლას დაეხმარება, რომ ეფექტურად გააანალიზოს გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მაჩვენებლები.*

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე მათი შესრულების ანგარიშები საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. აღნიშნული დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
2. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
3. სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი;
4. სკოლის საინფორმაციო დაფა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი და ორგანიზაციული სტრუქტურის ორგანოგრამა. სკოლაში მოქმედებს: პედაგოგიური საბჭო; სამეურვეო საბჭო; მრჩეველთა საბჭო; დისციპლინური კომიტეტი; საგნობრივი კათედრები. სკოლას დირექტორის №2-178 ბრძანებით დამტკიცებულია "სსიპ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები", სადაც გაწერილია ყველა პირისა და სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის მიმართ დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ სკოლის N2-178 ბრძანებაში მითითებული იყო სხვა სკოლის დასახელება, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი მტკიცებულება.

სკოლას აქვს 8 საგნობრივი კათედრა, სადაც გაერთიანებულია 27 მასწავლებელი.

- სახელმწიფო ენის კათედრა;
- მათემატიკის კათედრა;
- უცხო ენების კათედრა;
- დაწყებითი კლასების კათედრა;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა;
- ესთეტიკის კათედრა.

თითიეული პირისა თუ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის შედა დოკუმენტაციით.

რჩევა: სასურველია სკოლის სტრუქტურაში გათვალისწინებული იყოს, საშტატო განრიგით გაწერილი ყველა პოზიცია.
რჩევა: სასურველია საიტზე განთავსებული სკოლის სტრუქტურის ორგანოგრამა შეესაბამებოდეს სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურას.

ინდიკატორი 3.1.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით არის განაწილებული. ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის წევრმა იცის საკუთარი მოქმედების სფერო და საქმიანობაც განსაზღვრულია დროში, რაც ხელს უწყობს საერთო საქმიანობის კოორდინირებულ განხორციელებას. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევას. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის მიზნობრივად და ეფექტურად გადანაწილებით. სამოქმედო გეგმაში სკოლის ძირითადი მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ფუნქციების შესაბამისადაა განსაზღვრული.

ინდიკატორი 3.1.1.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის სტრუქტურა;
2. სკოლის დირექტორის №2-178 ბრძანება;
3. „სსიპ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების“ აღმწერი დოკუმენტი;

4. საშტატო განრიგი;
5. სკოლის დირექტორის №2-143;
6. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
7. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
8. მასწავლებელთა ჩანაცვლების აღმწერი დოკუმენტები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და სკოლის შინაგანაწესში. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის №2-147 ბრძანებით, ხოლო შინაგანაწესი - სამეურვეო საბჭოს ოქმი №6 - ით. მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გაწერილია შემდეგი საკითხები:
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები, სტრატეგია და ამოცანები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება და მართვა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა. ასევე გათვალისწინებულია სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასება, რისთვისაც სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება). სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია დასაქმებულის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი. სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოვება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება; ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. პერსონალის მართვის პროცესების გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, ახორციელებს კვლევასა და შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.2.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

რაც გამოიხატება ყოველდღიურ საქმიანობაში და დამკვიდრებულია პრაქტიკაში. მაგ. პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისათვის სკოლა საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს პერსონალის ფუნქციების დელეგირებას, კერძოდ, მასწავლებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დირექცია კათედრის წევრებთან შეთანხმებით კორექტირებას უკეთებს საგაკვეთილო ცხრილს და ანაცვლებს სხვა მასწავლებლით, რათა ორგანიზებულად გაგრძელდეს საგაკვეთილო პროცესი. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში(საპატიო/არასაპატიო) სკოლა უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვა პერსონალზე, რათა ჩვეულად გაგრძელდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. სკოლა პერიოდულად ახდენს ადამიანური რესურსების საჭიროების ანალიზს, რის საფუძველზეც გეგმავს შესაბამის ინტერვენციებს. სკოლაში შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, რომელიც დირექტორთან ერთან ინაწილებს პასუხისმგებლობას გაუმჯობესოს სწავლა სწავლების ხარისხი და განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა.

ინდიკატორი 3.1.2.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის მართვის პოლიტიკაში მოცემული თანამშრომელთა შერჩევის რეგულაციები და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს შრომის კოდექსის“ შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა და შეისწავლა სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიის შემთხვევები, რის საფუძველზეც დგინდება ყველა პროცედურის კანონთან შესაბამისობა. მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირად საქმეებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი: ნასამართლეობის ცნობა; სქესობრივი თავისუფლებისა და

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობა; უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

რჩევა: *სასურველია სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს „კონკურსის ჩატარების წესი და პირობები“.*

ინდიკატორი 3.1.2.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა მონაცემები, ასევე ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან. ადგილზე ვიზიტის დროს შემოწმდა ყველა თანამშრომლის პირადი საქმე. თანამშრომელთა პორტფოლიოს შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის თოთოეული პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ჰყავს 27 მასწავლებელი (მათ შორის 2 სპეციალური მასწავლებელი), სკოლაში დასაქმებულია 2 მენტორი, 12 წამყვანი და 13 უფროსი მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებულ თითოეულ ადამიანთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში ექიმის პოზიცია ჰქონდა ვაკანტური, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია შესაბამისობის გეგმით. დასკვნის პროექტის შედგენის პროცესში სკოლას წარმოდგენილი არ ჰქონდა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტი, თუმცა **არგუმენტირებული** პოზიციის დაფიქსირების დროს, სკოლამ წარმოადგინა „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება“, და დამტკიცების ბრძანება N2-192. დოკუმენტის შინაარსობრივი მხარე სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

რეკომენდაცია: *სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლის ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატის შერჩევა და აყვანა.*

ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვაში იკვეთება მართვის მონაწილეობითი სტილი პერსონალის ჩართულობით და თანამშრომლობით დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მართვა ხორციელდება პერსონალის მაღალი ჩართულობითა და უფლებამოსილების დელეგირებით, რაც უზრუნველყოფს პოზიტიურ სასკოლო გარემოს. სკოლამ წარმოადგინა გუნდური მუშაობის დამადასტურებლად კოლეგიალური ორგანოების **(პედსაბჭოს, საგნობრივი კათედრების, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს)** შეხვედრების ოქმები, ასევე ურთიერთდასწრებების შევსებული ფორმები, რომელმებიც ეხება ისეთ საკითხებს როგორებიცაა: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვა; ჩასატარებელი ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა; გრიფირებული სახელმძღვანელოების განხილვა; 2025-2026 სასწავლო წლის, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებისა და დამტკიცების პროცესის მიმოხილვა. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის წევრები ესწრებიან მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. გაკვეთილზე დასწრების შემდეგ ხდება პედაგოგის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასება, რის საფუძველზეც პედაგოგი იღებს კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლაში ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერილი და წახალისებულია სასკოლო საზოგადოების ინიციატივები. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან როგორც კათედრის შიგნით, ისე სხვა კათედრების წარმომადგენლებთან, აანალიზებენ დასაკვირვებელი გაკვეთილის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს.

ინდიკატორი 3.1.2.5 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში წარმატებული გამოცდილება აღიარებული და გაზიარებულია სხვადასხვა ფორმატით, რაც გამოიხატება ურთიერთადსწრებით, კათედრის წევრების ურთიერთთანამშრომლობით, კონკურსების, კვირეულების ჩატარების, კომპლექსური დავალებების ანალიზის მიმართულებით და სხვა. სკოლის სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი საკუთარი გამოცდილების კოლეგებისთვის გაზიარების პროცესში, პედაგოგების მოტივაციის ამაღლების მიზნით სკოლა იყენებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ წახალისების სხვადასხვა ფორმას, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფულადი პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქრები და სხვა.

ინდიკატორი 3.1.2.6 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
3. ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცემული ბრძანებები და ოქმები;
4. თანამშრომელთა პირადი საქმეები;
5. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
6. გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირები;
7. კათედრის ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის №2-147 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის ამოცანაა სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით, აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება; სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა; ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება; ანალიზის შედეგად საჭიროების დადგენის შემთხვევაში გაუმჯობესების გზების დასახვა და განხორცილება. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. საჭიროებების გამოვლენა ხდება კითხვარის, ურთიერთასწრებებისა და მხარაჭერის ჯგუფის მუშაობის შედეგად. სკოლამ ასევე წარმოადგინა დირექტორის №2-145 ბრძანებით დამტკიცებული, „სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები“

ინდიკატორი 3.2.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროებების კვლევას და აღნიშნულის საფუძველზე პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებას, რაც ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილია. გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა მიზნად ისახავდა მასწავლებელთა კონკრეტული საჭიროებების დადგენასა მის პრიორიტეტიზაციას. სკოლამ წარმოადგინა ფოტო მტკიცებულებები იმის დასტურად, რომ აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილება მოხდა მოწვეული დარგის სპეციალისტის მიერ.

ინდიკატორი 3.2.1.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული პროფესიული განვითარების საშუალებებსაც. სკოლის საქმისმწარმოებელი და დირექტორი, რომლებიც ამავე დროს პასუხსიმგებლები არიან სკოლის თანამშრომლების ინფორმირებაზე, უმოკლეს ვადებში უზიარებენ ინფორმაციას მასწავლებლებსა და თანამშრომლებს სხვადასხვა გარე საგანმანათლებლო ორგანიზაციების, მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებზე, სამუშაო შეხვედრებზე, კონფერენციებსა და დისტანციურ ჩართვებზე. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომლებს აქვთ პროფესიული განვითარების მაღალი მოტივაცია და აქტიურად ერთვებიან შემოთავაზებულ აქტივობებში. მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია სხვადასხვა სერტიფიკატები, სიგელები ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. სკოლის ხედვას პერსონალის კარიერული განვითარების პროცესში, ადასტურებს სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა სტატუსები.

ინდიკატორი 3.2.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. დოკუმენტები არეგულირებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესს და განსაზღვრავს ამ პროცესში დირექციის, ადმინისტრაციის წევრებისა და კათედრის ფუნქციებს. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის წარდგენა კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, რა დროსაც ახალ თანამშრომელს გააცნობენ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის სპეციფიკას და სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებსა და წესებს. საქმისწარმოებლის და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. წარმოდგენილი დოკუმენტით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა. ახალი თანამშრომლებისათვის ტარდება შეხვედრები ორგანიზაციული კულტურის, სკოლის მისიისა და მიზნების გასაცნობად.

ინდიკატორი 3.2.1.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტსა და შინაგანაწესში აღწერილია თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. პერსონალის ინიციატივების წახალისება დასტურდება სკოლის მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების აქტივობებითა და კლუბური მუშაობებით.

ინდიკატორი 3.2.1.5 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
3. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
4. გასაუბრება პერსონალთან და სკოლის დირექტორთან;
5. სკოლის შინაგანაწესი;
6. მასწავლებელთა მიერ, დამატებით განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია;
7. მასწავლებელთა რეფლექსიები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას წარმოდენილი აქვს სკოლის დირექტორის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის მმართველობითი პროცესები, მაგალითად: სტრატეგიული დაგეგმვა და წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად; ადამიანური რესურსების მართვა, კარიერული განვითარება, ფინანსური რესურსების მართვა და სხვა დამხმარე პროცესები იმართება შესაბამისი განსაზღვრული მექანიზმით. სკოლაში ყველა პროცესი ექვემდებარება მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ დემინგის ციკლს, „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“.

ინდიკატორი 3.3.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია „სკოლის პროცესები", რომელიც იყოფა სამ მიმართულებად.

- სკოლის მმართველობითი პროცესები;
- სკოლის ძირითადი პროცესები;
- სკოლის დამხმარე პროცესები.

სკოლის მმართველობით პროცესებს განეკუთვნება: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირიდათ პროცესებს განეკუთვნება: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო სკოლის დამხმარე პროცესებია: მოსწავლეთა სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსების მართვა და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას წარმოდგენილი აქვს და ვებგვერდზეცაა განთავსებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური და გამოცდილი სისტემა. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია, როგორც სხვადასხვა სახის დისციპლინური გადაცდომები, ასევე ამ გადაცდომების შესაბამისი სახდელები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით. სკოლის დისციპლინური კომიტეტი დაკომპელქტებულია თანაბარი მონაწილების უფლების მქონე მოსწავლეებით, მასწავლებლებითა და მშობლებით. სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი, მოსწავლე და მშობელი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის პრინციპს.

ინდიკატორი 3.3.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დამატებით, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი, სადაც ცალკეულადაა გაწერილი მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები და პერსონალის კანონიერი უფლებები, ასევე განხილულია კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულია კანონიერი უფლებების დაცვისთვის საჭირო სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმებითა და კათედრის შეხვედრების ოქმებით.

ინდიკატორი 3.3.1.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
3. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა
4. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
5. სკოლის პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებას, ასევე უკუკავშირის მიღებას და ახდენს მასზე რეაგირებას. კერძოდ, სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა ტიპის არხს, მათ შორის, სოციალური ქსელს, კათედრების და დამრიგებლების მიერ შექმნილ საკომუნიკაციო მესენჯერ-ჯგუფებს და თიმსის გუნდებს. დოკუმენტაციის შესწავლითა და დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება არის სისტემატიური და გამჭვირვალე. სკოლის შინაგანაწესი და საჭირო დოკუმენტაცია გაზიარებული სკოლის საინფორმაციო დაფაზე, პედსაბჭო, კათედრის და სხვა სხდომები გაზიარებულია სოც. ქსელში შექმნილი ჯგუფში. ასევე უზრუნველყოფილია უკუკავშირის მიღება ელექტრონული ფორმატით, სკოლის ოფიციალური მეილის საშუალებით. ამასთანავე ყოველი პარასკევი დღე სკოლას გამოყოფილი აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისთვის. ავტორიზაციის დასკვნის პროექტში გაცემული იყო ექსპერტთა რჩევა „სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიის“ შემუშავებისა და დამტკიცების შესახებ. **არგუმენტირებულ** პოზიციაში გათვალისწინებულია აღნიშნული რჩევა და წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი 3.3.2.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების, სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლაში ფუნქციონირებს: სამეურვეო საბჭო; პედაგოგიური საბჭო; დისციპლინური

კომიტეტი; მრჩეველთა საბჭო; მოსწავლეთა თვითმმართველობა; არაფორმალური განათლებისთვის შექმნილი კლუბები. აღნიშნულ კოლეგიალურ ორგანოებში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების სრული შემადგენლობა, რაც დასტურდება შესაბამისი ორგანოს მუშაობის ამსახველი ოქმებით.

ინდიკატორი 3.3.2.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
2. პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
3. რესურსცენტრთან გაგზავნილი წერილი „მრჩეველთა საბჭოში წარმომადგენლის წარდგენის შესახებ“
4. დისციპლინური კომიტეტის ოქმი №1
6. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
7. სკოლის პორტალი;
8. მშობელთა კრების ოქმები;
9. სადამრიგებლო პროგრამები;
10. დამრიგებლის პორტფოლიო.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სამეურვეო საბჭოს მიერ ოქმი №6 - ით დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირების გადაადგილება შეზღუდულია, სკოლამ წერილობით მიმართა ქალაქ ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომ უშუამდგომლოს შესაბამის უწყებებთან, სკოლის ღობის კაპიტალურად მოწყობისთვის. სკოლის უკანა ტერიტორიაზე განთავსებულია ძველი შენობა-ნაგებობის გარკვეული ნაწილი და ღიად დასაწყობებული სასკოლო ინვენტარი, უსაფრთხოების მიზნით, სკოლის უკანა ტერიტორიაზე გასასვლელი შემოღობილია მავთულის ბადით. შენობა აღჭურვილია უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით: დეტექტორებითა და სახანძრო კარადებით. სკოლამ ვიზიტის დროს მიმართა შესაბამის უწყებას, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. სკოლას ჰყავს ორი მანდატური, რომლებიც აკონტროლებენ ვიდეო-კამერებს. შენობაში განთავსებულია ჯამში 66 სამეთვალყურეო კამერა, რომელიც ფარავს ყველა საერთო გადაადგილების სივრცესა და სკოლის გარე ტერიტორიას. სამეთვალყურეო კამერების განლაგება უზრუნველყოფს მკვდარი ზონების არარსებობას. სკოლას დასკვნის პროექტის მომზადების დროს არ ჰქონდა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა **არგუმენტირებული** პოზიციის დაფიქსირებით , სკოლამ წარმოადგინა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას

აქვს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც სკოლის შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ვიზიტის დროს შენობა-ნაგებობის დათვალიერებისას დადგინდა, რომ ყველა სველ წერტილში განთავსებულია ფანჯარა, როემლიც იღება სრულად. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სივრცეების ვიდეომეთვალყურეობის კამერებით კონტროლი დაუშვებელია, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა, რომ უზრუნველყოს ფანჯრის გადმოკიდების მექანიზმით აღჭურვა.

რჩევა: *სველ წერტილებში სკოლამ უზრუნველყოს ფანჯრების გადმოკიდების მექანიზმით აღჭურვა.*

რჩევა: *სასურველია სკოლამ უზრუნველყოს სამსახურში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.*

ინდიკატორი 3.4.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას დირექტორის ბრძანება №2-165 - ით დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ01-23/ნ შესაბამისად. ვიზიტის პროცესში სკოლას ექიმის პოზიცია ჰქონდა ვაკანტური და გამოცხადებული ჰქონდა შესაბამისი წესის დაცვით ვაკანსია. აღნიშნული საკითხი სკოლას შესაბამისობის გეგმაში აქვს გაწერილი. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, კანდიდატთა გადარჩევისა და ჩაშლის ოქმები.

რეკომენდაცია: *სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლის ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატის შერჩევა და აყვანა.*

ინდიკატორი 3.4.1.2 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები". წესის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარება და უსაფრთხო სკოლის გარემოს უზრუნველყოფა. სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნავს ორი მანდატური, ასევე არსებულ სიტუაციას მუდმივად აკონტროლებენ მორიგე მასწავლებლები, სკოლაში ხდება ვიზიტორთა მუდმივი აღრიცხვა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი 3.4.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას. აღნიშნულ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ კლასის დამრიგებლებს, რომლებიც მუდმივად ამონიტორინგებენ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ ფონს და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია.

ინდიკატორი 3.4.1.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლაში დასაქმებულია სამი დიასახლისი და მათთან გაფორმებულია კანონის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. სველი წერტილებში არის თხევადი

საპონი, საპირფარეშოს ქაღალდი, ნაგვის ურნები. დერეფნები იწმინდება სველი წესით. დირექტორის ბრძანება №2-182-ით გამოყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.5 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, რის თაობაზეც სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, ამავდროულად სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.

მშობლებთან/მოსწავლეთა კანონიერ წარმოამდგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არის სპეციალური ჩანაწერი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. დამატებით მშობლებისგან, თანამშრომლებისგან და 16 წელს გადაცილებული მოსწავლეებისგან მიღებულია თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ვინაიდან სკოლაში განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება, სკოლა განსაზღვრავს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის წესებს. მოსწავლეთა და პერსონალის ყველა დოკუმენტი ინახება კანცელარიაში, სპეციალურად გამოყოფილ ჩაკეტილ კარადაში და მასზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლებს წვდომა აქვთ მხოლოდ თავიანთ მოსწავლეებზე, ხოლო დამრიგებლებს თავიანთ კლასებზე. ამასთან, შეფასების შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ ინდივიდუალურად ელ-ჟურნალისა და პირადი შეხვედრების საშუალებით.

ინდიკატორი 3.4.1.6 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმი, რაც გამოიხატება იმაში, რომ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა არ აქვს სხვა პირს, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესსა და მონიტორინგის მექანიზმებში აღნიშნული პირებისა. დოკუმენტაციის გაცემა ხდება წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ხოლო სხვა პირზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ

ინფორმაციის მესაკუთრის წერილობითი თანხმობით. დამატებით იმ ტექნიკურ მოწყობილობებზე, სადაც პერსონალური მონაცემები ინახება მოქმედებს დაშვების კოდი, რომელიც მხოლოდ შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პირმა იცის.

ინდიკატორი 3.4.1.7 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა აქტიურ კომუნიკაციაშია და თანამშრომლობს სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან, რისთვისაც იყენებს დახურულ ჯგუფებს, სოციალურ ქსელებს. მშობლები აქტიურად სარგებლობენ ელექტრონული ჟურნალით, სადაც ინფორმაციის გაზიარება მარტივადაა შესაძლებელი. სკოლას აქვს მშობელთა და მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების პრაქტიკა. კვლევის შედეგებიდან მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს უსაფრთხოების მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.4.1.8 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;
2. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
3. შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა;
4. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;
5. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
6. სამედიცინო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტი;
7. დირექტორის ბრძანება №2-165
8. სკოლის ექიმის ვაკანსიის ოქმები;

9. დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება;
10. დამლაგებლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
11. შესყიდვების გეგმა და შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
12. დირექტორის ბრძანება №2-182;
13. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
14. დირექტორის ბრძანება №2-160
15. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა;
16. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა თანხმობები;
17. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის აღმწერი დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მისამართია: ქალაქი ოზურგეთი, ბათუმის ქუჩა №87. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც 26.26.08.360 საკადასტრო კოდზე, 8564 კვ.მ -ის მიწის ნაკვეთზე, მდებარეობს 3266 კვ.მ - ის შენობა ნაგებობა. სკოლის შენობა ახალი რეაბილიტირებულია და შედგება ორი სართულისგან. პირველ სართულზე განლაგებულია შემდეგი სივრცეები: სასადილო სივრცე, არქივი და ბუღალტერია, სახანძრო უსაფრთხოებისა და დაცვის ოთახი, მანდატურის სამსახურის ოთახი, ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზი, გასახდელები, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული ინვენტარის ოთახი, მტუკი-ს ოთახი, დამლაგებლების ოთახი. სკოლის მეორე სართულზე განლაგებულია: საკლასო ოთახები, ქიმიის კაბინეტი, ფიზიკის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, სველი წერტილები, სამასწავლებლო, კანცელარია, დირექტორის კაბინეტი. გარდა ამისა სკოლის გარე ტერიტორიაზე მოწყობილია მწვანე სივრცეები და სპორტული მოედანი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც გარემოს ადაპტირებულსა და ინკლუზიურს ხდის.

რაც შეეხება სასკოლო ინვენტარს, სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტი 500 ცალ ინდივიდუალურ მერხსა და სკამზე. აღნიშნული ინვენტარის ნაწილი განლაგებულია საკლასო ოთახებში, ნაწილი კი დასაწყობებულია დაშლილ მდგომარეობაში, საკლასო ოთახები აღჭურვილია შესანახი კარადებით, სასკოლო დაფებითა და მასწავლებლისთვის განკუთვნილი სამუშაო მაგიდით. სკოლას აქვს პერსონალური კომპიუტერები, ლეფტოპები, 2 პროექტორი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 3.5.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის დიდი და ნათელი დერეფნები,

ეზო და რეკრეაციული ზონა ასევე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების გამართვა.

სპორტდარბაზი კეთილმოწყობილია, რომელიც იძლევა კალათბურთის, ფრენბურთის, მინი ფეხბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის უნარების დაუფლებას, სკოლის სააქტო დარბაზში იმართება დიდი ღონისძიებები. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია: მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი; ლაბორატორიის გამოყენების წესი; ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესი. სკოლაში ცალკეულად არის გამოყოფილი ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორია, რომლებიც აღჭურვილია გამწოვი სისტემებით, სკოლას ამ ეტაპისთვის არ გააჩნია ლაბორატორიების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, თუმცა შესაბამის უწყებასთან, ლაბორატორიის ინვენტარის შესყიდვის მიზნით მიწერილობა უკვე გაკეთებულია. აღნიშნულ ინფორმაციასა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წესრებისთვის. ბიბლიოთეკაში განთავსებულია მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო ლიტერატურა და მეთოდური ლიტერატურა. სკოლის ბიბლიოთეკა მოიცავს ყველა იმ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, რომლითაც მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. სკოლის ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკის დებულების მიხედვით აღრიცხავს წიგნადი ფონდის მოძრაობას. ინფრასტრუქტურულად სკოლის ბიბლიოთეკა გაყოფილია ორ ნაწილად, წიგნსაცავი და სამკითხველო დარბაზი. სკოლის ბიბლიოთეკართან გასაუბრებითა და ჟურნალის ჩანაწერებით დგინდება, რომ მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკარის სამუშაო გეგმა, სადაც ყურადღება გამახვილებულია მოსწავლეთა საჭიროებათა კვლევაზე, რომლის მიხედვითაც შეივსება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

ინდიკატორი 3.5.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შენობის ცენტრალურ შესასვლელებში მოწყობილია პანდუსები, ხოლო შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი. ყველა სველი წერტილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ყველა ოთახს აქვს შესაბამისი აღმნიშვნელი ნიშანი, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი, საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა საგანმანათლებლო სასწავლო რესურსი. ეს ყველაფერი კი გარემოს ხდის ინკლუზიურს.

ინდიკატორი 3.5.1.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი ყველა საჭირო რესურსით, ბიბლიოთეკა, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, შეხვედრები თემთან, სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 3.5.1.5 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. შესყიდვების ამსახველი დოკუმენტაცია;
3. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
4. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის სარგებლობის წესი;
5. ლაბორატორიით სარგებლობის წესი (დებულება);
6. ბიბლიოთეკის დებულება;
7. ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;

8. შენობის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია როგორც ლაბორატორიაში, ასევე ადმინისტრაციულ სივრცეებში, რაც ხელს უწყობს როგორც სასწავლო პროცესის, ისე ადმინისტრირების უწყვეტ მხარდაჭერას.
როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, სკოლას აქვს პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა -14; პროექტორი - 2; პრინტერი-3; აქედან კომპიუტერის ლაბორატორიაში -10 პერსონალური კომპიუტერი და 1 პროექტორია განთავსებული; ადმინისტრაციაში - 3 პერსონალური კომპიუტერი და 2 პრინტერი; სამასწავლებლოში - 1პერსონალური კომპიუტერი და 1 პრინტერი; სააქტო დარბაზი -1 პროექტორი; გარდა ამის სკოლას აქვს გაწერილი სკოლის ციფრული განვითარების გეგმა, სადაც ითხოვს, რომ კომპიუტერული ლაბორატორიისათვის ესაჭიროება 10 ცალი პერსონალური კომპიუტერი; 30 ლეპტოპი და 5 პროექტორი. აღნიშნული მატერიალური რესურსები ემსახურება სასწავლო მიზნებსა და ადმინისტრაციულ ფუნქციონირებას. ამის გარდა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებსა და კლასის დამრიგებლებს გადაეცემათ ბუკები. ციფრული ტექნიკა და ინფრასტრუქტურა სრულიად საკმარია სასწავლო პროცესის სრულფასოვანი

წარმართვისათვის. სკოლის სივრცე დაფარული არ არის Wifi ქსელით, თუმცა შესაძლებელია კაბელური ინტერნეტით სარგებლობა. ინტერნეტით სარგებლობის დროს მოსწავლე დაცულია არასანდო პლატფორმებზე წვდომისაგან. სიახლეები მუდმივად თავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე. მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. სკოლა იყენებს facebook-ის, Teams-ის პლატფორმას მშობლებთან, მასწავლებლებსა და ადმინსტრაციას შორის სწრაფი კომუნიკაციისათვის. მშობელს შეუძლია ასევე, მიმართოს ან გაუგზავნოს შეკითხვა სკოლას ოფიციალურ მეილზე.

ინდიკატორი 3.6.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის ვიზუალური დათვალიერებისა და სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის.

სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, პროექტორით. აქ ტარდება არა მხოლოდ ტექნოლოგიების გაკვეთილები, არამედ საჭიროებისამებრ იყენებენ როგორც მოსწავლეები ისე სხვა მასწავლებლებიც. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა რეგულირდება წინასწარ შედგენილი განრიგით. საგაკვეთილო პროცესის შემდეგ 17:00 საათამდე აღნიშნული სივრცით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობით. ადმინისტრაციასთან გასაუბრებითაც ირკვევა, მასწავლებლეთა საზიარო სამუშაო სივრცეც კომპიუტერული ლაბორატორიაა, თუმცა კომპიუტერითა და პრინტერით მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამასწავლებლოშიც.

უსაფრთხოების მიზნით შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე ხორციელდება 24 საათიანი ვიდეო მონიტორინგი, სკოლას აქვს ცალკე მანდატურების ოთახი, სადაც განთავსებულია მუდმივად ჩართული კომპიუტერები, რომელშიც თავს იყრის შიდა და გარე ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერი.

ინდიკატორი 3.6.1.2. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტექნიკის, ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები;

2. სკოლის ინფრატრუქტურის ვიზუალური დათვალიერება;

3. გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისთვის. აღნიშნული წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით ((2025 წლის 15.12. ბრძანება N2-153).

საქმისწარმოება მიმდინარეობს საქმისმწარმოებლის მიერ, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით. ბრძანებები შინაარსის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: საკადრო ბრძანებები და საერთო, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბრძანებები. საქმისწარმოების წესი მოიცავს დოკუმენტაციის სამ ძირითად კატეგორიას: შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაცია, თითოეულს კი მიენიჭება მკაფიო რეგისტრაციის პროცედურა, ინდექსური კოდირება და დოკუმენტაციის დამუშავების თანმიმდევრული წესი. სკოლა პარალელურად აწარმოებს დანომრილ, აკინძულ და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალებს, რომელთა შორისაა: 1. შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; 2. გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; 3. საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; 4. საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; 5. მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის ბრძანებების ჟურნალი; 6. თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი.

საქმისმწარმოებლის მოვალეობები გაწერილია სკოლასა და საქმისმწარმოებელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

ინდიკატორი 3.6.2.1. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნულ სისტემაში ინახება ბრძანებები, წერილები, ცნობები და სხვა ადმინისტრაციული აქტები. აღნიშნული დასტურდება ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებითაც.

საჭიროებების კვლევისათვის სკოლაში გამოიყენება Google Forms პლატფორმა. სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს სწრაფი ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისათვის. საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება როგორც სკოლის ვებ გვერდი, ისე სკოლის ოფიციალური მეილი და ელ-ჟურნალი. სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი 3.6.2.2. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

პროფილში ასახულია სკოლის იურიდიული და საგანმანათლებლო სტატუსის სრული მონაცემები: მისამართი, იურიდიული ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია. პროფილში შეყვანილია სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალის, მოსწავლეთა და მათი კანონიერ წარმომადგენელთა მონაცემები. რაც დასტურდება ვიზიტის პროცესში ვიზუალური დათვალიერებით.

ინდიკატორი 3.6.2.3. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს შესაბამის რაიონულ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რომლის მეშვეობითაც წარმართავს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებთან. ასევე დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს.

ინდიკატორი 3.6.2.4. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი (2025 წლის 15.12. ბრძანება N2-153);

2. ერთიანი საქმისწარმოების დებულება (დანართი 28);

3. საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;

4. საქმისწარმოების სარეგისტრაციო ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალურ ქსელში არსებული პერსონალური გვერდით. კერძოდ, სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ასახავს ინფორმაციას სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ფოსტას, teams-ის პლატფორმას, facebook-ის დახურულ ჯგუფს. ასევე მოსწავლეების, მშობლებისა მასწავლებლებისათვის ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლის Facebook-ის გვერდი და პორტალი, რომელზედაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია...) რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისთვის. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აქვეყნებს სიახლეებს. სკოლა კლასის დამრიგებლების ჩართულობით, სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების განხილვა/გაზიარების მიზნით.

ინდიკატორი 3.6.3.1. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებენ აღნიშნულს.

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. სანდო და საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის განთავსება ხორციელდება თანმიმდევრულად და გონივრულ ვადებში.

ინდიკატორი 3.6.3.2. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ პრაქტიკაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების პერიოდული გამოკითხვა, რაც მოიცავს როგორც კმაყოფილების დონის მონიტორინგს, ისე რეკომენდაციების შეგროვებას. აღნიშნულზე ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას ისაუბრეს სკოლის მოსწავლეებმა, ასევე მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა. მშობლებმა აღნიშნეს, რომ კითხვარები იძლევა იმის საშუალებასაც, რომ ღიად დააფიქსირონ ნებისიერი განსხვავებული აზრი. მიღებული მონაცემები გამოიყენება სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.სკოლის ერთ-ერთ ძლიერ პრაქტიკად შეგვიძლია მივიჩნიოთ ადმინისტრაციის ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ აქტიური თანამშრომლობისა და რეაგირების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 3.6.3.3. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის შესახებ საბაზისო საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმაზე - skolebi.emis.ge-ზე განთავსებულ პროფილში, რაც დამატებით უზრუნველყოფს სკოლის გამჭვირვალობას. სკოლა უზრუნველყოფს ვებგვერდის პერიოდულ განახლებას და საინფორმაციო შინაარსის ხელმისაწვდომობას. სკოლას აქვს მოქმედი ოფიციალური ვებგვერდი რომელიც წარმოადგენს სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითად პლატფორმას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე და მოცემულია საჯარო მონაცემები სკოლის მისიის, ხედვის, ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო გარემოსა და აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.4. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდის შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამები, შინაგანაწესი, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია.
ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე. შინაარსი მიზნობრივად პასუხობს სკოლის კომუნიკაციის ფუნქციასა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს.
ინდიკატორი 3.6.3.5. სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის პორტალი https://skolebi.emis.ge/

2. სკოლის ვებგვერდი

3. ელექტრონული ჟურნალი: https://onlineschool.emis.ge/auth

4. სკოლის სოც. გვერდი

5. სკოლის საინფორმაციო დაფა;

6. გამოკითხვის ანგარიშები (ანალიზი);

7. მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლის შემოსავლის წყარო არის მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება, მასწავლებელთა სერტიფიცირების დანამატი, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება, ეკონომიკური შემოსავლები იჯარით გაცემული ფართიდან. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისთვისა და კომუნალური ხარჯების დასაფარად. სკოლას შემუშავებული აქვს 2026 წლის

შესყიდვების წლიური გეგმა, სადაც თავმოყრილია ყველა ის საჭიროება, რომელიც შესაძლოა დადგეს კალენდარული წლის ჭრილში.

რჩევა: იქამდე, სანამ დაკმაყოფილდება სკოლის მოთხოვნა ლაბორატორიებით უზრუნველყოფის შესახებ, *სკოლის შესყიდვების წლიურ გეგმა, ოფტიმიზაციის საფუძველზე დაკორექტირდეს და გაიზარდოს „ლაბორატორიული მომსახურებების“ ხვედრითი წილი, რათა სკოლაში შესაძლებელი იყოს მარტივი ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება.*

ინდიკატორი 3.7.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების სრულ მართვას, რაც მოიცავს დაგეგმვას, კორექტირებას, განაწილებასა და კონტროლს. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ მომავალი კალენდარული წლის ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და საჭიროებები, ასევე წინარე გამოცდილება, რაც აისახება როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილში.

ინდიკატორი 3.7.1.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სამეურვეო საბჭოს ოქმი №6;
2. სკოლის 2026 კალენდარული წლის ბიუჯეტი;
3. დირექტორის ბრძანება №2-128;
4. შესყიდვების წლიური გეგმა;
5. დირექტორის ბრძანება №2-136;
6. საინვენტარიზაციო კომისიის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N3 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიები. ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო;
- სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო;
- სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი;
- სკოლას ჰყავს ორი მანდატური;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა;

- სკოლას N2-180 ბრძანებით დამტკიცებული აქვს, მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები.

შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესებს, გადაცდომის სახეებსა და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს. კანონიერი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ყველა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს იცნობს სასკოლო საზოგადოება და ამავდროულად საჯაროდაა ხელმისაწვდომი. მოსწავლეთა უფლებების დაცვის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა. მათი მჭიდრო და კონსტრუქციული კომუნიკაცია დირექციასთან და სკოლის თანამშრომლებთან, ხელს უწყობს მათი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებას.
მოსწავლის მიმართ/მიერ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, სკოლა მოქმედებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების)პროცედურების დამტკიცების თანობაზე „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

ინდიკატორი 4.1.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული დამრიგებლის დებულების 3.8 პუნქტით, დამრიგებელი ვალდებულია მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნონ სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, შესაბამისად ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისკენ, მკაფიოა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, ღია შეხვედრების, საინფორმაციო დაფისა და სკოლის ვებ-გვერდის საშუალებით.

ინდიკატორი 4.1.1.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები,

ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის წესი, პერსონალური მონაცემების დაცვა. მშობელი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი 4.1.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კლასის დამრიგებლის დებულება;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი;
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
5. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
6. მშობელთა თანხმობის ფორმა;
7. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
8. სკოლის ვებ-გვერდი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელქტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი 4.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5“-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის 69 გაცდენის გამო, ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა.

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. სკოლაში პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. რაც დასტურდება ექსპერტთა მიერ სკოლის შიდა მარეგულირებელი წესების, ბრძანებების, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით.

ინდიკატორი 4.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასწავლო წლის დასაწყისში, კლასის დამრიგებლები მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრაზე მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ შინაგანაწესს, ასევე ყველა იმ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შინაარსს, რომელიც განსაზღვრავს მომსახურების პირობებსა და მათ სპეციფიკას. ფასიანი წრეებით დაინტერესების შემთხვევაში შუამდგომლობენ წრის ხელმძღვანელთან. ექსპერტებთან გასაუბრების დროს მშობლებმა და მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული

მომსახურებების პირობებს იცნობენ, რაც სკოლასა და სასკოლო საზოგადოებას შორის მჭიდრო და ეფექტურ კომუნიკაციაზე მიუთითებს. მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა გაწერილი სკოლის შინაგანაწესში, რომელიც სკოლის საინფორმაციო დაფაზე საჯაროდაა ხელმისაწვდომი. მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მომსახურების პირობები და ვალდებულებები.

ინდიკატორი 4.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებსა და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას. სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, კონფერენციებსა და აქტივობებში ყველა მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა. მოსწავლეები ინფორმაციას იღებენ წინასწარ, საგნის მასწავლებლებისგან ან ორგანიზატორებისაგან, რომელიც არ არის დისკრიმინაციული. სკოლა გამოირჩევა კომუნიკაციის მაღალი ხარისხით, რაც გამოიხატება საოპერაციო საქმიანობის ეფექტურობასა და მოქნილობაში.

ინდიკატორი 4.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის №2-144 ბრძანება;
2. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
3. მოსწავლეთა ბრძანებები;
4. მშობელთა კრების ოქმები;
5. სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას დირექტორის ბრძანება №2-154 -ით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სადაც გაწერილია ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, ასევე ცალკეულადაა განხილული პირველკლასელთა ადაპტაციის პროცესი, სსსმ მოსწავლის ადაპტაციის პროცესი და მობილობით გადმოსული მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესი. ამ მიზნით სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ტრანზიციის დებულება. მექანიზმის მთავარ მიზანია, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან შეგუება შინაგანი მოტივაციის ზრდის პარალელურად. ამ მიზნით სკოლა განსაზღვრავს წარმატებული ადაპტაციისა და დეადაპტაციის ნიშნებს, რომლის ანალიზის საფუძველზეც გეგმავს შესაბამის ინტერვენციებს.

ინდიკატორი 4.2.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. 2025-26 სასწავლო წელს მოსწავლეთა ადაპტაცია განსაკუთრებით აქტუალური გახდა სკოლისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ მობილობით საკმაოდ

ბევრი მოსწავლე შეუერთდა ოზურგეთის №3 საჯარო სკოლას. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მშობლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებზე განიხილავენ თავიანთ სამოქმედო გეგმას, თავიანთ სტრატეგიას მოსწავლის ადაპტაციასთან დაკავშირებით. კლასის საათის ფარგლებში დამრიგებლებს ანალოგიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რაც ხელს უწყობს ადაპტაციის მექანიზმის ეფექტურ განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში სასკოლო კულტურის დაკვირვების შედეგად, სკოლაში არის მეგობრული და ჯანსაღი გარემო, რაც მოსწავლეთა შინაგან მოტივაციასა და ერთმანეთის მიმართ მხარდაჭერის სურვილს აძლიერებს.

ინდიკატორი 4.2.1.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში ყველა მოსწავლეს შეუძლია მიიღოს სათანადო კონსულტაცია მისთვის საჭირო და სასარგებლო საკითხზე. საგნის მასწავლებლები ყველა შემაჯამებელ დავალებას უკეთებენ დიაგნოსიტირებას და აკვირდებიან მოსწავლეთა მიღწევების დინამიკას. გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე მოსწავლეები გაკვეთილების შემდეგ იღებენ სათანადო კონსულტაციას მასწავლებლების მხრიდან, რასაც მოსწავლეები თავად ადასტურებენ ექპერტებთან გასაუბრების დროს. სკოლაში აქტიურად ხორციელდება დიაგნოსტიკური წერები, რომლის შედეგების საფუძველზეც იგეგმება რემედიაციის პროგრამები. აღსანიშნია, რომ პირველი სემესტრის განმავლობაში რემედიაციის პროცესი საგანთა 70% -ში ჩატარდა. გარდა ამისა, სკოლა აქტიურად იყენებს დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, რაც ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და დაკმაყოფილებას. სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია მშობლებთან საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი. მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებს ყოველ პარასკევს შეუძლიათ გაიარონ კონსულტაცია მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც მოსწავლეთა აკადემიური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 4.2.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იღებენ შესაბამის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათი უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლაში მობილობით გადმოსულ მოსწავლეებითან, სწავლის დაწყების პირველივე დღიდან აქტიურად მიმდინარეობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის, სასკოლო კულტურისა და წესების გაცნობა. მოსწავლეები დროულად იღებენ ინფორმაციას გაცდენების პროცენტულ მაჩვენებელთან დაკავშირებით, რათა დღის წესრიგში არ დადგეს მათთვის ექსტერნატის გამოცდების ჩატარება. სკოლა დროულად აიდენტიფიცირებს მოსწავლეთა კატეგორიას, რომლებიც საშემოდგომო გამოცდის რისკის ქვეშ შესაძლოა აღმოჩნდნენ. ამ კატეგორიაში მყოფი მოსწავლეები დროულად იღებენ, როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.1.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური, შემოქმედებითი, სპორტული, ესთეტიკური უნარების განვითარებასა და ინტერესების გაღვივებას. სკოლას არაფორმალური განათლების მნიშვნელობა მისიით აქვს გაცხადებული, რაც დიდწილად განაპირობებს ისეთი აქტივობების განხორციელებას როგორებიცაა:

1. ასტრიდ ლინდგრენის დაბადების დღე;
2. „ვეფხისტყაოსნის გადამწერები;
3. სპორტული შეჯიბრებები „ მე ვირჩევ ჯანსაღი ცხოვრების წესს“;
4. სტუმრად ჩაის პლანტაციაში;
5. სტუმრად გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში;
6. გასვლითი ექსკურსიები;
7. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ვიზიტები;

8. არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობა;
9. ვიზიტები მუზეუმებში.

გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა, მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მხარდაჭერა მოსწავლეთა ინიციატივების განსახორციელების პროცესში. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის მხარდაჭერით, საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე გაიმართა სპორტული შეჯიბრებები მეგობარ სკოლებთან. სკოლის მიდგომა და დამოკიდებულება მსგავსი ტიპის პროექტების წახალისებით, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ხელ უწყობს ეფექტური სასკოლო კულტურის განვითარებას.

ინდიკატორი 4.2.1.5 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლას კარგად აქვს გააზრებული, თუ რა გავლენას ახდენს მიზნობრივი აუდიტორიის კმაყოფილების კვლევა მომსახურების შემდგომი განვითარების პროცესზე, სწორედ ამიტომ დაწესებულება პერიოდულად იკვლევს და ამონიტორინგებს მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების დონეს, ანალიზის შედეგებს კი იყენებს გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები, დამრიგებლები მუდმივად იღებენ უკუკავშირს სწავლა-სწავლების ხარისხის შესახებ, 2020 წლიდან ხორციელდება კურსდამთავრებულთა შედეგების მონიტორინგი. აღსანიშნია, რომ 2024-2025 სასწავლო წელს სკოლას 4 ოქროსმედალოსანი მოსწავლე ჰყავდა, საიდანაც ერთმა მოსწავლემ 100 %-ანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა. სწორედ ასეთი მონიტორინგის მექანიზმები და ინტერვენციები განსაზღვრავს სკოლაზე მოთხოვნის ზრდას.

ინდიკატორი 4.2.1.6 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ადაპტაციის წესი;
2. დირექტორის ბრძანება №2-154;
3. მშობელთა კრების ოქმები;

4. დამრიგებლის ანგარიშები;
5. რემედიაციის პროგრამები;
6. შემაჯამებელი დავალებების დიაგნოსტირების დოკუმენტი;
7. სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მომსახურების მიზნით, სკოლა თანამშრომლობს კოლეჯ ჰორიზონტთან, ასევე მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა, სადაც გაწერილია თემები პროფესიების, მათი აქტუალურობის, სამომავლო შესაძლებლობების შესახებ. აკადემიურ პერსონალთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ზოგადი განათლების რეფორმის კონცეფციით განსაზღვრული საკითხები გაანალიზებულია საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან. მოსწავლეები ადასტურებენ, რომ ამ თემაზე საუბრები ეხმარებათ მომავლის სწორად დაგეგმვის პროცესში. პროფორიენტაციის მიმართულებით ასევე განხორციელებულია გასვლითი ხასიათის აქტივობები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და არქეოლოგიური გათხრების ადგილზე. დოკუმენტაციის შესწავლისას, აშკარა კავშირია დაგეგმილ არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროფორიენტაციის მიმართულებასთან.

ინდიკატორი 4.2.2.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დამრიგებლის საათისა და მშობელთა კრებების ფარგლებში, სკოლის წარმომადგენლები დაინტერესებულ პირებს სისტემატიურად აწვდიან განახლებულ და სანდო ინფორმაციას შემდგომი კარიერული განვითარების შესახებ. მოსწავლეებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ საბაზო საშუალო საფეხურის მოსწავლეები ინფორმირებული არიან იმ ეტაპების შესახებ, რომელთა გავლაც მოუწევთ კარიერული განვითარების პროცესში.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ. გარდა ამისა დაწესებულება იყენებს გამოკითხვების მეთოდს, რათა შეაფასოს მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი და დაგეგმოს გაუმჯობესების გზები. სკოლა სისტემატიურად აფასებს და აანალიზებს კურსდამთავრებულთა შედეგებს, მიღებულ ინფორმაციას კი იყენებს შემდგომი სასწავლო წლის ინტერვენციებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სადამრიგებლო პროგრამები;
2. მშობელთა კრების ოქმები;
3. მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების კითხვარები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმით. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი ასევე სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ოზურგეთის N3 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 დეკემბრის N 2-156 ბრძანებით)

საჯარო სკოლას მიმდინარე პერიოდში ერიცხება 11 სსსმ მოსწავლე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდებოდა სკოლის მიდგომები ინკლუზიური განათლების მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა ინდ. გეგმები საგნობრივი მიმართულებებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი იყო შესაბამისი ისგ ჯგუფი.

ინტერვიუს მეშვეობით ირკვევა, რომ ისგ ჯგუფი პერიოდულად იკრიბება და განიხილავს სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სწავლების საკითხებს. აღნიშნული დასტურდება ისგ ჯგუფების ოქმებით. ასევე ადგილზე არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს - სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას, სამოქმედო გეგმის შედგენას, სწავლის სირთულეების იდენტიფიცირებას, სტატუსის მიღებისა და მოხსნის რეგულაციებს, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაციებს. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც წლის ბოლოს განხორციელებული აქვს შიდა მონიტორინგი და შედგენილია დასკვნა. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი რესურსოთახი. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მიერ დგება ინტერვენციის გეგმები. სკოლაში ჩარიცხული სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლას ესაჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. აღნიშნული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს იყო ვაკანტური. ვიზიტის დროს სკოლამ უზრუნველყო შესაბამისი ვაკანსიის გამოცხადება, შესაბამისად დაწესებულებას მიეცა რჩევა. სკოლამ **არგუმენტირებულ** პოზიციაში წარმოადგინა ბრძანება N1/კ-57, რომელიც ეხება სსიპ ქალაქ ოზურგეთის N3 საჯარო სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის დანიშვნას.

ინდიკატორი 4.2.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია თანამშრომლობითი აქტივობები და პროცედურები სკოლის დირექციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით.
სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებელებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. სპეციალურ მასწავლებელს შედგენილი აქვთ სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები.
სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი საკლასო ღონისძიებებში, მასწავლებლები მუშაობენ შემოქმედებითი დავალებების ადაპტირებაზე. რესურსოთახში ვიზიტის დროს წარმოგვიდგინეს სსსმ მოსწავლეების ნამუშევრები, ასევე შედგენილი იყო მრავალმხრივი პორტფოლიო.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია(დანართი 17)

1. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2025-26 წელი

2. ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება

3. ისგ ფორმა;

4. მონიტორინგის ჯგუფის ოქმები;

5. მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;

6. ინკლუზიური განათლების პროგრამა;

7. სსსმ მოსწავლის ინდ.გეგმები;

8. სპეციალური მასწავლებლის ანგარიში;

9. სსსმ მოსწავლეთა პორთფოლიო

10. სასკოლო ღონისძიებებში სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის ამსახველი ფოტომასალა;

11. რესუროთახის დათვალიერება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დაინტერესებულ პირებთან შეთავაზებულია დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები, როგორებიცაა: გახანგრძლივებული სწავლება, კვების მომსახურეობა, ქართული ცეკვის წრე, „ნორჩ მათემატიკოსთა წრე“, ქართული ენისა და ლიტერატურის წრე, მკითხველთა კლუბი „კარცერ-ლუქსი“. სკოლის ფართის იჯარით გაცემის გადაწყვეტილება მიღებულია სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მეიჯარეებთან გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება. გახანგრძლივებული სწავლებისთვის სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ჯგუფის მასწავლებელთან.

ინდიკატორი 4.2.4.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პიპრობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. შეთავაზებულ მომსახურებებს მოსწავლეები და მშობლები ირჩევენ სურვილისამებრ. დამატებით არასავალდებულო მომსახურებებას განეკუთვნება: გახანგრძლივებული სწავლება; მკითხველთა კლუბი „კარცერ-ლუქსი"; ქართული ენისა და ლიტერატურის წრე; ნორჩ მათემატიკოსთა წრე.

ინდიკატორი 4.2.4.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიღების მრავალფეროვან შესაძლებლობასა და პოზიტიურ გარემოს.

ინდიკატორი 4.2.4.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. წრეებისა და კლუბის აღმწერი დოკუმენტები;
2. წრეებისა და კლუბის პროგრამები;
3. წრეების ხელმძღვანელთა რეფლექსია;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი №1 და №3;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

   სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

   სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. აქტირად იყენებენ სხვადასხვა თანამშრომლობის მექანიზმებს, აწარმოებენ პირისპირ შეხვედრებს, იყენებენ სოციალურ ქსელებს და კითხვარებს. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

   სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, საკითხები და სასწავლო რესურსები კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. სამივე საფეხურის კათედრის პედაგოგები იაზრებენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს. **ინდიკატორი 2.1.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ თითოეული თემა და საკითხი შერჩეულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითა და არსებული პრაქტიკის, განხორციელებული აქტივობების გათვალისწინებით.

პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევის დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებსა და შესაძლებლობებს, ასევე ასაკობრივ თავისებურებებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ცხადყოფს, რომ სკოლას აქვს ხედვა, განავითაროს კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებითა და მაქსიმალური ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებლების, სასკოლო თემის და დირექციის ინტერესები და პრიორიტეტები, რისი გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.1.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, დაკვირვების საფუძველზე გამოკვეთენ პრობლემას, შეიმუშავებენ მისი მოგვარების გზებს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწავლო პროცესი. ასევე კოლეგებთან შეხვედრის რეფლექსიებში ჩანს, რომ კათედრების წევრები აქტიურად ესწრებიან ერთმანეთს და ერთობლივად ადგენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს, რასაც ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. მსჯელობის დროს გამოიკვეთა, რომ აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის გაზიარება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დადასტურებულია სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, მშობელთა და მოსწავლეთა განკუთვნილი ბარათებით და კითხვარებით. კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, ასევე გათვალისწინებულია პროექტული ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი ემსახურება გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გაძლიერებას. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს, რომ ურთიერთობენ მშობლებთან დახურულ ჯგუფებში, უგზავნიან დავალებებს, ღონისძიებების გეგმებს და აწვდიან ინფორმაციას სასკოლო

კურიკულუმის შესახებ. თვითშეფასებაშიც აღნიშნულია, რომ მშობლებს ინფორმაციას დამრიგებლები აწვდიან კრებებზე, ამის მტკიცებულებას წარმოადგენს მშობლებთან ინტერვიუც.

კურიკულუმი განიხილება კათედრის ფარგლებში და მტკიცდება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად პედაგოგიური საბჭოს მიერ, რაც გულისხმობს იმას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გაცნობისა და გაზიარების მიზნით იგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო საზოგადოების წევრები ცდილობენ საკუთარი საქმიანობა დაუკავშირონ კურიკულუმს, რათა მეტად ეფექტურად და შედეგზე ორიენტირებულად ჩაერთონ ამ დოკუმენტის რეალიზებაში. **ინდიკატორი2.1.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 -სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 3 საჯარო სკოლა*
- *კათედრის დებულება-სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 3 საჯარო სკოლა.2025*
- *კლასის დამრიგებლის დებულება*
- *კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება*
- *საგნობრივი კურიკულუმი;*
- *მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმა*
- *მასწავლებლის, დამრიგებლის სემესტრული ანგარიში*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზი*
- *კურიკულუმის რევიზია;*
- *პედსაბჭოს ოქმები;*
- *კათედრის დებულება;*
- *კათედრის ოქმები;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*

- *საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *ინტერვიუს შედეგები;*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები (ძირითადად სახელმძღვანელო). **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე სასკოლო საზოგადოების [მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი] ჩართულობით. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები მოსწავლეებს გაუღვივებს ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის განცდას, მისცემს მათ ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის საშუალებას. **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	სკოლა წარმოდგენილ კურიკულუმებში ითვალისწინებს შემოქმედებითი ბუნების აქტივობებს/დავალებებს, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს ფასილიტატორს, ხოლო მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. დაწყებით, საბაზო და სასუალო საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. დოკუმენტში ასახულია მოსწავლეებისთვის აქტუალური და საინტერესო თემები, აქტივობები და რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კათედრის პედაგოგებს მკაფიო მზაობა აქვთ დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე მორგებული სწავლება. ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელობას, რომელიც ხელს უწყობს მოქნილ, კომპეტენციებზე დაფუძნებულ და შემოქმედებით მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი არის „ცოცხალი დოკუმენტი“, რომელსაც მუდმივად სჭირდება გადახედვა და განახლება. მათ გამოხატეს მზადყოფნა მომავალშიც განავითარონ და დახვეწონ კურიკულუმი, რათა ის კიდევ უფრო მეტად პასუხობდეს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ენის კურიკულუმები სამივე საფეხურზე წარმოაჩენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების თანმიმდევრულ გზას, რადგან სწავლება ეფუძნება თემატურ ბლოკებს, ასაკობრივ ინტერესებსა და მოსწავლის პირად გამოცდილებას; კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები (ესე, მემუარი, გამოხმაურება, ზეპირი პრეზენტაცია, წერილი) ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების, კრიტიკული შეფასებისა და თვითგამოხატვის განვითარებას, რაც მოსწავლეს აძლევს არჩევანის, პოზიციის დაფიქსირების, დამოუკიდებელი აზროვნებისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობას; პარალელურ ტექსტებზე, სხვადასხვა ჟანრებსა და კულტურულ კონტექსტებზე მუშაობა, ვიზუალური და აუდიორესურსების გამოყენება, ასევე, პირადი გამოცდილების გააზრებაზე დაფუძნებული დავალებები, ქმნის ინკლუზიურ და მოტივირებულ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლე არა მხოლოდ ტექსტის ანალიზს სწავლობს, არამედ ეტაპობრივად ავითარებს კრიტიკულ, საკომუნიკაციო და შემოქმედებით უნარებს, რაც სრულად შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მიდგომებს. **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის კურუკულუმი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის სწორად და შემოქმედებით დაგეგმვაზე, მათი განხორციელეის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა გონებრივი განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. **რჩევა:** კარგი იქნება, თუ ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, პროექტი თუ კომპლექსური დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ. **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სპორტი	სამივე საფეხურზე - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ის გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები და აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე, საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ ემოციები და ინტერესები. **რჩევა:** სასურველია სასკოლო კურიკულუმები მეტად გამრავალფეროვნდეს სამივე საფეხურზე. თეორიული სახის სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა (ჯანსაღი ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები, ოლიმპიზმი და სხვა.) **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების/მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-VI კლასი) მიზნად ისახავს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტების განხორციელებას და მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და შუალედურ მიზნებად მოიცავს სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალებების იდეებს, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ეს ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს, უნარების განვითარებასა და გამთლიანებულ სწავლებას. ინტერვიუებისას მასწავლებლებმა/მასწავლებელმა გამოხატეს კომპლექსური დავალებების მნიშვნელობა და გააზრებული ჰქონდათ ცნებებს შორის კავშირები, საგნის ძირითადი მიზნები და სარეკომენდაციო რესურსების გამოყენება. ისინი აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, აანალიზებენ გამოწვევებს და აფასებენ მიღებულ დადებით შედეგებს.

	კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ და ციფრულ წიგნიერებას, და სამიზნე ცნებების სრულ სპექტრს. რესურსების შერჩევა ემყარება გრძელვადიან მიზნებს და სწავლება ეფუძნება მოსწავლის მოტივაციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე, რომლებიც განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და შინაარსი იქმნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი მიდგომით, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და ლოგიკურ-ალგორითმული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები (ძირითადად სახელმძღვანელო). **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეა, თუმცა გამოიკვეთ რიგი უზუსტობები, ამიტომ სკოლას მიეცეს **რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები (მაგ: ბიოლოგიის მეცხრე კლასის მეორე სავალდებულო თემად მითითებულია „შეგრძნების ორგანოები“, უნდა ეწეროს „ადამიანის შეგრძების ორგანოები“) და სამიზნე ცნებები (მაგ: ქიმიის მეათე კლასის მეორე სავალდებულო თემის მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია ცნება „ნივთიერების რაოდენობრივი მახასიათებელი“, ასეთი ცნება ქიმიაში არ არის) გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, ყველა ძირითადი საკითხი გარკვევით და სრულყოფილად იყოს განსაზღვრული (მაგ: ქიმიის მეთერთმეტე კლასის მესამე სავალდებლო თემასთან პირველ ძირითად საკითხად მითითებულია „ჟანგვა-აღდგენის“). საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეაში მითითებული იყოს, თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ (მაგ: ფიზიკის მეთერთმეტე კლასის მესამე სავალდებულო თემის პირველი ძირითად საკითხთან მითითებულია „შექმნან პრეზენტაცია“, პრეზენტაცია არ არის

	შემოქმედებითი პროდუქტი, პირიქით, ყველა შემოქმედებით პროდუქტს სჭირდება პრეზენტაცია), ამავდროულად, მკაფიოდ ჩანდეს, თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტირების დროს (მაგ: ქიმიის მეათე კლასის პირველი სავალდებლო თემის პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია „პოსტერის საშუალებით, პერიოდულობის ცხრილის ზოგიერთ ელემენტის ელექტრონული კონფიგურეციის განლაგების წარმოჩენა“, ელემენტის კონფიგურაციის წარმოჩენა არის ერთ - ერთი აქტივობა აღნიშნული ძირითადი საკითხის შესასწავლად). ბიოლოგიის მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში არ არის გაწერილი მეორე სავალდებულო თემა „ვირუსიდან ადამიანამდე“ (სავარაუდოდ გამორჩათ, თუმცა უნდა გაიწეროს). **ინდიკატორი 2.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები იმგვარადაა შექმნილი, რომ ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. კურიკულუმის ჩარჩოებში ძირითადად ასახულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, ასევე მითითებულია გამოყენებული რესურსებიც, ყველაფერი ეს კი ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. მასწავლებლებს გასაუბრების დროს გავაცანი საბაზო და საშუალო საფეხურის საგნების კურიკულუმებში გამოიკვეთილი საკითხები და განვითარების საჭიროებები: VII, VIII, IX კლასების გეოგრაფიისა და X, XI, XII კლასების მოქალაქეობის კურიკულუმებში - მხოლოდ კომპლექსური დავალებები არის მითითებული, დანარჩენი საკითხები კი - რაც თემის ფარგლებში უნდა დამუშავდეს ჩასამატებელია. გეოგრაფიის კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები თუკი კურიკულუმში არსებულ კომპლექსურ დავალებას მიემართება, მაშინ მის გვერდით უნდა ეწეროს. გამოყენებული რესურსების

	ველში სასურველია სახელმძღვანელოს ავტორი და გამომცემლობაც იყოს მითითებული, ასევე კომპლექსურებთან მიმართებით დამატებითი ინტერნეტ-რესურსებიც მითითებაც შესაძლებელია. X, XI კლასების გეოგრაფიის კურიკულუმები - საკითხები ერთად არის დაჯგუფებული, რის გამოც ბუნდოვანია საკითხების მიმართება სხვა დანარჩენთან; XII კლასის გეოგრაფიის, VII-VIII კლასების მოქალაქეობის, VII, IX X, XI, XII კლასების ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები - აქ ზოგ შემთხვევაში 6 სვეტიანი კურიკულუმის ჩარჩოა გამოყენებული, ზოგან კი 5 სვეტიანი, ასევე რიგ შემთხვევებში აქაც დაჯგუფებულია საკითხები და ბუნდოვანია მათი მიმართება სამიზნე ცნებებთნ, ასევე სამიზნე ცნების ქვეცნებებიც არ არის განსაზღვრული; აქვე გვხვდება დაჯგუფებული კონტექსტ-მაგალითები/ქეისები - რომლებიც საკითხების ველში უნდა იყოს და პირიქით - ეს ვფიქრობ მექანიკური შეცდომა უფროა. XII კლასის ისტორიის კურიკულუმში მითითებული სავალდებულო თემების სახელწოდებები არ ემთხვევა სტანდარტით განსაზღვრულ სახელწოდებებს, ასევე საქართველოს ისტორიის და მსოფლიოს ისტორიის კურიკულუმი გაერთიანებულია - რაც არ არის მიზანშეწონილი. ზემოთაღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით მასწავლებლებს მივეცი ***რჩევა***: საბაზო და საშუალო საფეხურზე, ყველა კლასისა თუ საგნის კურიკულუმი უნდა იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ყველა საგანში უნდა იყოს გამოყენებული ერთნაირი ჩარჩო დოკუმენტი კურიკულუმისა; ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს სავალდებულო თემების სახელწოდება სტანდარტის შესაბამისად, თითოეულ თემაში უნდა მუშავდებოდეს საგნის ფარგლებში არსებული ყველა სამიზნე ცნება, აქვე უნდა განისაზღვრის და მიეთითოს ქვეცნებებიც; ასევე უმჯობესია დაამატოთ ჰორიზონტალური სვეტები და თემის ფარგლებში დასამუშავებელი თითოეული საკითხი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულად ჩამოშალოთ, ასე უფრო მკაფიოდ გამოჩნდება თუ რომელ საკითხთან

	მიმართებით რა სამიზნე ცნება და ქვეცნება დამუშავდება; კონტექსტ-მაგალითის ველში ჩაწერეთ კონკრეტული ქეისი, რომლითაც ფიქრობთ ვრცელი საკითხის განხილვა-დამუშავებას და მასზე შემოქმედებითი ხასიათის დავალების დანერგვას, კონტექსტ-მაგალითის დაჯგუფება არ ხდება; კომპლექსური დავალების იდეა- ველში არ არის საჭირო კომპლექსური დავალების პირობის გადმოტანა, საკმარისი იქნება ჩანდეს თუ რა საკითხთან მიმართებით რა სახის პროდუქტი უნდა შეიქმნას, ასევე არ არის აუცილებელი ათეულობით „შედარების მაგალითის“ მოყვანა, არც სტანდარტის შედეგების მითითებაა საჭირო კურიკულუმში, გამოყენებული რესურსების ველში მიუთითეთ სახელმძღვანელოს ავტორი, გამომცემლობა, პარაგრაფის ნომერი და გვერდი, ასევე კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით დამატებითი ინტერნეტ-რესურსები. მასწავლებლებს ვიზიტის პირველივე დღეს მივეცი უკუკავშირი გამოსასწორებელი საკითხების შესახებ, რაც უმეტესწილად გაიზიარეს და ერთი დღის ვადაში რამდენადაც შესაძლებელი იყო განახლებული ფორმით მომაწოდეს დოკუმენტები ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში, ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა გაითვალისწინონ რჩევები და მეტად დახვეწონ კურიკულუმების ჩარჩოები. **ინდიკატორი 2.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. შემოქმედებითი ბუნების დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა და სხვ. **ინდიკატორი 2.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებებისთვის შემუშავებული კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე. კურიკულუმებში განსაზღვრული სამიზნე ცნებები და სწავლის შედეგები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ახალი ცოდნა და უნარები საკუთარი გამოცდილების საფუძველზე აითვისონ და განმარტონ. ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა კურიკულუმის ჩარჩოებში არსებული გარკვეული უზუსტობები, რომლებიც მასწავლებლებთან ერთად განვიხილე და შესაბამისი რეკომენდაციები გავეცი. პედაგოგებმა გამოხატეს მზადყოფნა, რომ გადახედონ და განაახლონ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა კლასის კურიკულუმის ჩარჩოები, რათა ისინი უფრო მეტად პასუხობდეს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს. მათი თქმით, „კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტზე მუშაობა ცოცხალი პროცესია“, რომელიც მუდმივ ანალიზსა და გაუმჯობესებას საჭიროებს. **ინდიკატორი 2.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რადგან სწავლების სტრუქტურა აგებულია სამიზნე ცნებებისა და შედეგების მიხედვით, უზრუნველყოფს ტექსტის გააზრების, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის განვითარებას და ეტაპობრივად ზრდის სირთულეს კლასიდან კლასში; მრავალფეროვანი ჟანრების, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშების, კულტურული კონტექსტების და კომპლექსური დავალებების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლის ლიტერატურული, ენობრივი და ღირებულებითი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ მიზნებთან. **ინდიკატორი 2.1.2. 2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიმართულია და პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **რჩევა:** მიზანშეწონილია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სამივე საფეხურზე - კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.

	ინდიკატორი 2.1.2. 2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის საკითხების ურთიერთმიმართება და საგნის მიზანი. კომპლექსური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია ორიგინალური, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებები. ასევე, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით ხორციელდება პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუში მასწავლებელმა დეტალურად აღწერა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია. კურიკულუმისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ პედაგოგს გააზრებული აქვს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების როლი -ისინი ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით მიდგომას, თანამშრომლობას, დამოუკიდებელი მსწავლის როლის ჩამოყალიბებას, რეფლექსიასა და მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს. **ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს. იგი ასახავს საბაზისო კომპეტენციებს, საგნობრივი სტანდარტებსა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების პრაქტიკაში განხორციელებას. მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული მოკლევადიანი სასწავლო მიზნები.ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის

	ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეა. **ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სასწავლო რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ბუკლეტები, ფლაერები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის მიერ შეთავაზებული ძირითადი სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები) უმეტესწილად პირდაპირ უკავშირდება სწავლის განსაზღვრულ შედეგებს და ხელს უწყობს ენის ფუნდამენტური უნარების (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) განვითარებას. მრავალი რესურსი შეიცავს მრავალფეროვან სავარჯიშოებსა და აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას და სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე მოსწავლეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მასწავლებლის სახელმძღვანელოების გამოყენება პედაგოგების მიერ., უზრუნველყოფს პედაგოგიურ მხარდაჭერას და ეხმარება მასწავლებლებს რესურსების ეფექტურად ინტეგრირებაში სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია ასევე, ციფრული რესურსების გამოყენება და მათი ინტეგრაცია. **ინდიკატორი 2.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები — მათ შორის საგანმანათლებლო, ვიზუალური, აუდიო და პრაქტიკული რესურსები — სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას. შერჩეული მასალები ადეკვატურად შეესაბამება საგნობრივ მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და ქმნის პირობებს, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად გამოიყენონ კურიკულუმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები. **ინდიკატორი 2.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები — სახელმძღვანელოები, მხატვრული და საინფორმაციო ტექსტები, ვიზუალური და აუდიომასალა, ფილმისა და სპექტაკლის ფრაგმენტები — მიზანმიმართულად არის შერჩეული და უშუალოდ უკავშირდება სამიზნე ცნებებსა და კომპლექსურ დავალებებს, რაც მოსწავლეს ეხმარება ტექსტის გააზრებაში, ანალიზში, არგუმენტირებასა და შემოქმედებით თვითგამოხატვაში; რესურსების

	მრავალფეროვნება და კონტექსტური გამოყენება ქმნის სწავლების ეფექტიან გარემოს და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2. 3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმები შეიცავს საკმარისი რაოდენობის რესურსებს, როგორც ნაბეჭდ, ისე ელექტრული სახით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას იმგვარად აქვს გააზრებული და შერჩეული რესურსები სკოლის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეს ეძლევა სრულყოფილი საშუალება გააცნობიეროს სასწავლო მიზნები და მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლებიც განსაზღვრული და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებით. **ინდიკატორი 2.1.2. 3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების

	აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სასწავლო რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. **ინდიკატორი2.1.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების (ინდ. სასწავლო გეგმის) შემუშავებითა და დანერგვით, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. **ინდიკატორი 2.1.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა, მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სასწავლო ტემპს. მრავალი რესურსი მოიცავს დამატებით

	სავარჯიშოებს, გაფართოებულ აქტივობებს, რაც პედაგოგს საშუალებას აძლევს, ეფექტურად იმუშაოს როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების, ისე დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. **ინდიკატორი 2.1.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში ნათლად ჩანს შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მრავალფეროვანი და მათთვის ეფექტური გზებით გამოხატონ. მასწავლებლებთან ინტერვიუებმა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხილვამ აჩვენა, რომ სწავლების პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები: ხდება დავალებების სირთულის დონის მორგება, პირობების ადაპტირება და რესურსების შერჩევა თითოეული მოსწავლის უნარებისა და საჭიროებების მიხედვით. ასეთი მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, ამაღლებს მოტივაციას და უწყობს ხელს ცნობიერ სწავლებას — მოსწავლეები უკეთ ხვდებიან, რატომ სწავლობენ და როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში. **ინდიკატორი 2.1.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი ინკლუზიურ ხასიათს ატარებს და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რადგან სწავლება ეფუძნება მრავალფეროვან ტექსტებს, ჟანრებსა და რესურსებს, განსხვავებული სირთულისა და ფორმატის კომპლექსურ დავალებებს და მოსწავლის პირად გამოცდილებაზე დაფუძნებულ აქტივობებს, წარმოდგენილი დიფერენცირებული დავალებები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სხვადასხვა უნარისა და სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებს აძლევს სწავლის პროცესში თანაბარი ჩართულობისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.2. 4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

მათემატიკა	სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია გამოსჭვივის არა მარტო წარმოდგენილ მასალებში, დამათებით გამოგზავნილ მასალებში, არამედ დაადასტურეს ინტერვიუს დროსაც, რაც ასახულია მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმში , სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. უკეთეს შედეგებზე გავლენ თუ მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესში მეტად გამოიყენებენ სხვა საგნებთან საგანთაშორისი კავშირების რეალიზებას. **ინდიკატორი 2.1.2. 4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სამივე საფეხურზე - ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი 2.1.2. 4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	საგან „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, მასალა და ელ. რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას. ინტერვიუში პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლის აქტივობებს, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მრავალფეროვან რესურსებს. აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მისთვის ეფექტური გზებით. შეფასება განიხილება, როგორც საშუალება სწავლის გაუმჯობესებისთვის. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმა, შეფასების რუბრიკები და თვითრეფლექსიის დოკუმენტები, სადაც ჩანს მოსწავლეთა ინტერესების და თავისებურებების გათვალისწინება. **ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. სკოლისთვის გამოცდილი პრაქტიკაა სადიაგნოსტიკო შეფასებები - ინდივიდუალური და საერთო საკლასო საჭიროებების გამოვლენისთვის. ასევე რემედიაციის პროგრამა, რომელიც სწავლის ხარვეზების დაძლევას, მოსწავლის აკადემიური ზრდასა და წარმატებას უწყობს ხელს. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის, თუმცა გამოიკვეთა რიგი გარემოებები, ამიტომ სკოლას მიეცეს ***რჩევა:*** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უმჯობესია, სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. ასევე, დეტალურად იქნეს გაწერილი მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები. **ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ავტორიზაციის დასკვნის პროექტის შემუშავების დროს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშალო საფეხურის შეფასების სისტემა მთლიანობაში არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, **კერძოდ,**

	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშალო საფეხურის განმსაზღვრელი შეაფსების რუბრიკები გაწერილი არ იყო სტანდარტის შესაბამისად (მაგ: ფიზიკის მერვე და მეთერთმეტე კლასის შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში არ არის მითითებული არც თემა, არც სამიზნე ცნებები, არის მხოლოდ თითოოელი დავალების სწორად ამოხსნის შემთხვევაში თუ რა შეფასებას მიიღებდა მოსწავლე; მაგ: ქიმიის მეცხრე კლასის მეორე სავალდებულო თემის მიმართ გაწერილი შემაჯამებელი დავალების სავარიშები და მის მიმართ გაწერილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არ შეესაბამება ერმანეთს, კერძოდ, შემაჯამებელი დავალების სავარჯიშოები მოიცავს ნახშირწყლებს, მათ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე დავალებებს, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გაწერილია მხოლოდ პოლიმერების მიმართ; მაგ: ქიმიის მეათე კლასის პირველი სავალდებულო თემის მიმართ გაწერილი შემაჯამებელი დავალების სავარიშები და მის მიმართ გაწერილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არ შეესაბამება ერმანეთს, კერძოდ, შემაჯამებელი დავალების სავარჯიშოები მოიცავს მხოლოდ ელემენტების ატომთა ელექტრონული კონფიგურაციის გამოსახვას, ელემენტთა ელექტრონულ-გრაფიკულ ფორმულებს... ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გაწერილია არა შემაჯამებელი დავალების მიმართ, არამედ პირველი სავალდებულო თემის მიმართ); შემაჯამებელი დავალებები ისე იყო გაწერილი, რომ იგი ნაკლებად მოიცავდა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებებს (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, და სხვ.) და პრაქტიკულად არ იყოს ორიენტირებული მოსწავლის მიერ ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისელი) გამოყენების უნარზე; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნება/ქვეცნება, ძირითადი საკითხი თანხვედრაში მოდიოდეს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან, ძირითად საკითხთან (ერთი და

	იგივე კონტექსტ - მაგალითის შემთხვევაში), (მაგ: ბიოლოგიის მეცხრე კლასის კურიკლუმის ჩარჩო - ცხრილებში მეორე სავალდებულო თემის ძირითადი საკითხის მიმართ გაწერილ კოპლექსურ დავალებასა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში ძირითადი საკითხი არ ემთხვევა ერთმანეთს; მაგ: ბიოლოგიის მეათე კლასის კურიკლუმის ჩარჩო - ცხრილებში პირველი სავალდებულო თემის ძირითადი საკითხის მიმართ გაწერილ კოპლექსურ დავალებასა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში სამიზნე ცნებები არ ემთხევა ერთმანეთს, კერძოდ, კურიკლუმის ჩარჩო - ცხრილებში მითითებულია ოთხივე სამიზნე ცნება, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში - მხოლოდ სამი). სკოლამ წარმოადგინა **არგუმენტირებული** პოზიცია. მტკიცებულებები ეხებოდა სამივე საგნის საბაზო და საშუალო საფეხურის შეფასების სისტემას. დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად, აღნიშნული ხარვეზები მთლიანობაში გათვალისწინებულია, რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა, როგორც სტანდარტთან „შესაბამისი“ **ინდიკატორი 2.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იყენებენ მრავალფეროვან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, კერძოდ, საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა, საკლასო დავალების შეფასების რუბრიკა, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, კომპლექსური დავალების როგორც განმსაზღვრელი - ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გასასვლელი ბარათები, შეაჯამებელი დავალების ანალიზი. **ინდიკატორი 2.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმებში მოცემული შეფასების სისტემა, შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. ხაზგასმულია უკუკავშირის მნიშვნელობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესს და შეცდომებზე მუშაობას. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი შეფასების ფორმები, მათ შორის ზეპირი და წერითი კომპონენტები, პროექტული დავალებები და აქტივობები, რაც ხელს უწყობს ენის ოთხივე უნარის (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) შეფასებას. ეს

	შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნას, შეფასდეს არა მხოლოდ ცოდნა, არამედ უნარები და კომპეტენციები. **ინდიკატორი 2.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შეფასების რუბრიკები) ანალიზი ცხადყოფს, რომ კათედრას გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად მოსწავლეთა შეფასების სისტემის დანერგვის მნიშვნელობა. პედაგოგები იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს, რომლებიც დაფუძნებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე, რაც უზრუნველყოფს როგორც სწავლის პროცესის მიზანმიმართულობას, ასევე მოსწავლეთა პროგრესის ხარისხიან მონიტორინგს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი ჯგუფი მიზნობრივად აფასებს განმავითარებელი შეფასების როლს მოსწავლეთა აკადემიური და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. ამასთან, აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის კიდევ უფრო გასაძლიერებლად სასურველია, საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებში უფრო მკაფიოდ აისახოს გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებები. აღნიშნული წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან თანხვედრილ მიმართულებას და ხელს უწყობს შეფასების სისტემის კიდევ უფრო სრულყოფას. **რჩევა:** საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებში (მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) უფრო მკაფიოდ აისახოს გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებები. **ინდიკატორი 2.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, რადგან მოიცავს კომპლექსური დავალებების მოსწავლეთა ნამუშევრების დიაგნოსტირების ანგარიშის ფორმებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მკაფიო რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას, ობიექტურობას და მოსწავლის აკადემიური პროგრესის ეტაპობრივ მონიტორინგს; აღნიშნული მიდგომა ერთდროულად აფასებს როგორც სწავლის პროცესს, ისე მიღწეულ შედეგს და ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2. 5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	თავდაპირველად წარმოდგენილ მასალებში, ყველა საფეხურის კურიკულუმებში ნაკლებად იყო ასახული შეფასების სისტემები, მაგრამ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტება ეს ხარვეზი გამოასწორა. მოსწავლეთა შეფასების სისტემა მათემატიკის ყველა საფეხურზე სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს. **ინდიკატორი 2.1.2. 5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სპორტი	სამივე საფეხურზე - კურიკულუმებში გათვალისწინებულ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების წვლილი აქვთ კარგად გააზრებული. მოსწავლეები დავალებების შესრულების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, რომლებიც სკოლას სასწავლო თემების მიხედვით აქვს შემუშავებული ყველა სასწავლო თემისათვის. **ინდიკატორი 2.1.2. 5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასები. პედაგოგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. **ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე. სისტემაში ნათლად ჩანს უკუკავშირის მექანიზმები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური პროგრესის და პიროვნული განვითარებისთვის საჭირო უნარების ამოცნობასა და გაძლიერებას;

	ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს **<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>** ავტორიზაციის დასკვნის პროექტის შემუშავების დროს, მოსწავლის შეფასების სისტემა მთლიანობაში არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, **კერძოდ,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების VI კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გაწერილი არ იყო სტანდარტის შესაბამისად. პედაგოგთან ინტერვიუს დროს შევთანხმდით, რომ გადმოაზავნიდა ბუნებისმეტყველების VI კლასის ჩასწორებულ შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას. სკოლას არ მოუწოდებია VI კლასის ჩასწორებული შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. სკოლამ წარმოადგინა **არგუმენტირებული** პოზიცია. მტკიცებულებები ეხებოდა დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების შეფასების სისტემას. დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად, აღნიშნული ხარვეზები მთლიანობაში გათვალისწინებულია, რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა, როგორც სტანდარტთან „შესაბამისი“ **ინდიკატორი 2.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სახელმწიფო ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები -I-IV, V-VI კლასები;
- სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმები - VII-IX კლასები;
- სახელმწიფო ენის საშუალო საფეხურის კურიკულუმები - X-XII კლასები;
- დიფერენცირებული დავალებები-სახელმწიფო ენის სამივე საფეხური;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები-სახელმწიფო ენის სამივე საფეხური;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები-სახელმწიფო ენის სამივე საფეხური;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი-სახელმწიფო ენის სამივე საფეხური;
- თემატური მატრიცები-სახელმწიფო ენის სამივე საფეხური;

- რემედიაციის გეგმა-სახელმწიფო ენის დაწყებით და საბაზო საფეხური;
- კომპლექსური დავალებების რეფლექსიები-სახელმწიფო ენის სამივე საფეხური;
- რესურსის რეფლექსია-სახელმწიფო ენის საბაზო საფეხური;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემებს, ცნებებსა და მიზნებს. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას. **ინდიკატორი 2.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვანი საკითხების შესწავლისა და სიღრმისეულად გაცნობის საშუალებას, კომპლექსური ბუნების დავალებები კი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, უბიძგებს მას განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტები. არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლის თვითშეფასების ფორმაში მოცემული აღწერილობის თანახმად, გარდა კომპლექსური დავალებებისა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ გეგმავენ ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირების გაძლიერებას. **ინდიკატორი 2.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს, სწავლის შედეგებსა და თემატიკას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხასიათდება ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს მასალის თანდათანობით და კომპლექსურად ათვისებას. დაგეგმვისას, როგორც წესი, გათვალისწინებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო

	რვეულები, აუდიო/ვიდეო მასალები). მათი ინტეგრაცია ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს მასალების სრულყოფილ გამოყენებას. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებისა და წარმოდგენილი მასალების ანალიზი ნათელს ჰყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები შემოქმედებით საქმიანობაში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა დეტალურად აღწერეს მათ მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რომლებიც მიზანმიმართულად უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ შედეგებს. მათ წარმოადგინეს ფოტო მასალა და აგრეთვე სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, სადაც მკაფიოდ ჩანს კათედრის საქმიანობის დინამიკა და სწავლა-სწავლების პროცესი. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სწავლების დაგეგმვა და განხორციელება თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. პედაგოგთა მიერ შეთავაზებული აქტივობები და შემოქმედებითი პროცესი სისტემურად არის სტრუქტურირებული, ემთხვევა გეგმაში წინასწარ განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ, ღრმა და მრავალმხრივ ჩართულობას. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი სრულად ემყარება და რეალურად ასახავს სასკოლო კურიკულუმის პრინციპებსა და სტრუქტურას. **ინდიკატორი 2.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი სახელმწიფო ენის კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რადგან სწავლების შინაარსი, თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები, შედეგები, რესურსები და კომპლექსური დავალებები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული და უზრუნველყოფს სწავლების თანმიმდევრულობასა და მიზნობრიობას; ეს სტრუქტურა ქმნის ერთიან სასწავლო ჩარჩოს, რომლის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და სასკოლო კურიკულუმით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

	ინდიკატორი 2.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც დაგეგმილია სკოლის მიერ ყველა საფეხურის კურიკულუმების შესაბამისად.**ინდიკატორი 2.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლაში სასკოლო პროცესი დაგეგმილია და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. მასწავლებელი წლის დასაწყისში შეიმუშავებს, ცვლის, ანახლებს სასკოლო კურიკულუმს სასკოლო საზოგადოების საჭიროების მიხედვით და შეთანხმებული, შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით წარმართავს სასწავლო პროცესს მთელი წლის განმავლობაში. **ინდიკატორი 2.2.1. 1აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად -დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებელი/მასწავლებლები სწავლების პროცესში ეყრდნობიან კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზე ცნებებს, საკითხებს. ისინი იყენებენ სამგანზომილებიან მიდგომას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, და იყენებენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, მრავალფეროვან ციფრულ რესურსებსა და სხვადასხვა სწავლების ფორმატს. დაგეგმვა ეფუძნება ინდიკატორებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმთან შესაბამისობას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი2.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს.

	აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან; ***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>*** სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ბუნებისმეტყველება, V და VI კლასები) კურიკულუმის ჩარჩო, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემებს, ცნებებსა და მიზნებს. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას. **ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა დაკვირვებისა და პრობლემაზე ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განხორციელების გზით ცდილობს საგანმანათლებლო საქმიანობის გაანალიზებას და რეაგირებას დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მორგებით. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეთავაზება კონკრეტული აკადემიური ან სოციალურ-ემოციური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებელთა შორის საათების გადანაწილება ან საათობრივი განრიგის კორექტირება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ასევე მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული შედეგები.

სკოლა აქტიურად იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს (კონსულტაციები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა შეკრებები, სადამრიგებლო საათები), რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას. გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ეფუძნება მონაცემებს და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებაც ხდება შესაბამისი ანალიზის საფუძველზე.

ინდიკატორი 2.2.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა უმეტესად არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეებისთვის ნათელია თუ რის მიხედვით ფასდებიან ისინი, იციან, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის გამჭირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ. **ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმი, უმეტესწილად, უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების შესახებ. არის განსაზღვრული, თუ რა ცოდნისა და უნარების დემონსტრირებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებულობას და შეფასების პროცესის გაგებას. შეფასების სისტემა ცდილობს დაიცვას სამართლიანობის პრინციპი სხვადასხვა ტიპის დავალებების შეთავაზებით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში (მაგალითად, როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმატში). კურიკულუმში მოცემულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც როგორც წესი, დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდობას.

	ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. ორივე საგანში -ხელოვნება, მუსიკა გამოიყენება როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე გამართული და მრავალკომპონენტიანია, რადგან მოიცავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემებს ცნებებისა და თემების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზებს, ასევე, ანალიტიკურ და ჰოლისტურ შეფასების რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების მიზნობრიობას, თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას; შეფასება მიმართულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგის დაფიქსირებაზე, არამედ მოსწავლის სწავლის პროცესის, პროგრესისა და უნარების განვითარების გამოვლენაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	წარმოდგენილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ მათემატიკაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

სპორტი	სამივე საფეხურზე - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს დეტალურად შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც განკუთვნილია კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების გასაზიარებლად. მასწავლებელს ესმის, რომ წინასწარ უნდა აცნობოს მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რაც ეხმარება სწავლის სწორ დაგეგმვას და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად ხვდებიან, რას ეფუძნება მათი შეფასება. შეფასება ფოკუსირებულია როგორც შედეგზე, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესზე, რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას.

	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ბუნებისმეტყველება, V და VI კლასები) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა უმეტესად არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დებულება. დამტკიცებულია ვერიფიკატორთა გუნდი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებენ კათედრის ხელმძღვანელები (როტაციის პრინციპით) სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც მოიცავს, ზოგად დებულებებს, ვერიფიკაციის დაგეგმვასა და წარმართვას, მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურას, ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების და პასუხისმგებლობის სფეროს.

სკოლამ წარმოადგინა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებენ სწავლის შედეგების გაზომვისა და გაანალიზების მიზნით.

კათედრას ასევე წარმოდგენილი აქვს: შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მასწავლებელების გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსიები, კათედრის სხდომის ოქმები, სადაც გაანალიზებული და შეჯამებული აქვთ სწავლებაში არსებული მდგომარეობა. სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი და პირობები. სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასება, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია.

ინდიკატორი2.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. ადგილზე ვიზიტმა აჩვენა და ასეევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს. **ინდიკატორი2.2.1.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გრძანება N2-157, ვერიფიკატორთა გუნდის დამტკიცების შესახებ*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დებულება*
- ხარისხის განვით. და პროფ. მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - N 3 საჯარო სკოლა
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წწ
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურზე);
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;
- ინდივიდუალური სასწალო გეგმები;
- მოდიფიცირებული დავალებები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრების სამოქმედო გეგმები;

- პროექტების განხორციელების რეფლექსიები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი ნამუშევრები (კომპლექსური დავალებები და პროექტები)
- პედაგოგების მიერ შექმნილი როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსები.
- დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულებით სკოლა ყველა კლასში სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, ელექტრონულ რესურსებს, მაგრამ რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს - ვერა, ამიტომ სკოლას მიეცეს **რჩევა:** სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი და ელექტონული რესურსებისა, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ვირტუალური და რეალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მითითებულია სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსები, როგორიცაა: ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ანიმაციები, ვიდეოფილმები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს

	მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმით დამტკიცებული ძირითადი სასწავლო რესურსები, კერძოდ სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები, აქტიურად და სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ისინი წარმოადგენენ გაკვეთილების დაგეგმვისა და მიზნების მიღწევის მთავარ საფუძველს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის სტანდარტულობას და თანმიმდევრულობას. აუდიო და ვიდეო მასალების აქტიური ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსმენისა და მეტყველების უნარების განვითარებას, ასევე მასალის ვიზუალურ და სმენით აღქმას, რაც ამდიდრებს სასწავლო გარემოს და ზრდის მოსწავლეთა ინტერესს. მასწავლებლები, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობენ დამატებითი, დამხმარე რესურსების (მაგალითად, ონლაინ სავარჯიშოები, სიმღერები, ადაპტირებული ტექსტები) მოძიებას და ინტეგრაციას, რაც მიუთითებს მათ პროფესიულ მიდგომაზე და მზაობაზე, გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი.**ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულიმში ჩაშენებულია სასწავლო რესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას. **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

სახელმწიფო ენა	სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად და მიზანმიმართულად გამოიყენება სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში, რადგან სწავლება ეყრდნობა სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ ტექსტებს და პარალელურად ავსებს მათ მხატვრული ნაწარმოებებით, ვიზუალური და აუდიომასალით, ფილმისა და სპექტაკლის ფრაგმენტებითა და დამატებითი ტექსტებით, რაც ამდიდრებს სასწავლო კონტექსტს და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს. **რჩევა:** მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს იმ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლებიც თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელება მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმინებისგან. ვთვლი, რომ როგორც სილაბუსებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენებული უნდა იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინების გამოყენებას.
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლა აღჭურვილია მრავალრფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულიმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში.

	ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში — დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს „school.emis.ge".ასევე იყენებენ საერთაშორისო პლატფორმებს: scratch.mit.edu; code.org და ა.შ. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ და საჭიროებისამებრ ცვლიან რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას. **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში მიზანმიმართულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსების შერჩევა და გამოყენება ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. მასწავლებლები ეფექტურად აერთიანებენ ბეჭდურ, ციფრულ და ვიზუალურ მასალებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და მოსწავლის მოტივაციას; ***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერები</u>*** საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით (ბუნებისმეტყველება, V და VI კლასები) სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, ელექტრონულ რესურსებს, მაგრამ რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს - ვერა, ამიტომ სკოლას მიეცეს **რჩევა:** სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი და ელექტონული რესურსებისა, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ვირტუალური და რეალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

	ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი (რაც იყო მოცემული საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში) შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. **ინდიკატორი 2.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, რესურსები ლოგიკურადაა შერჩეული და მიმართებაშია თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებთან, ასევე მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების სანდოობას. **ინდიკატორი 2.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მასწავლებლები იყენებენ აუდიო-ვიდეო მასალებს და სხვა დამხმარე საშუალებებს, რომლებიც ავსებს ძირითად სახელმძღვანელოებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლების მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები, როგორც წესი, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, თემატიკასა და სწავლის შედეგებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ მასწავლებლები ყურადღებით იკვლევენ დამხმარე სასწავლო მასალებს და არჩევენ მხოლოდ მიზნობრივ და

	ეფექტურ რესურსებს. ვალიდაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესურსების შესაბამისობას კურიკულუმთან, სასწავლო მიზნებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების მიზანმიმართულობას. ასევე ირკვევა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია პროცედურები, რომლებიც მხარს უჭერს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას. ამ მიდგომების ერთად ფორმირებას განაპირობებს ის, რომ შერჩეული მასალები რეალურად უწყობს ხელს სწავლების ხარისხის ამაღლებასა და მოსწავლეთა პროგრესს. **ინდიკატორი 2.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რადგან წარმოდგენილი აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს რესურსების შერჩევის, გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმებს; ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები შეესაბამებოდეს სასკოლო კურიკულუმს, საგნობრივ მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს და გამოიყენებოდეს მიზნობრივად, უსაფრთხოდ და ეფექტიანად. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას სასწავლო პროცესში, რაც ჩანს სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში და დაადასტურეს მასწავლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლას უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კათედრებზე მუშაობისას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს და ასევე ერთობლივად უზრუნველყოფენ ამ რესურსების ვალიდაციასაც.

	ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებელი აქტიურად აწარმოებს რესურსების გამოკვლევას და ირჩევს მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს. ვალიდაციის პროცესში გათვალისწინებულია რესურსების შესაბამისობა კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად ეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში.რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ. ***<u>საბუნებისმეტყველო მიმართულება</u>*** სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი (რაც იყო მოცემული საბუნებისმეტყველო მიმართულების V და VI კლასების კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში) შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. **ინდიკატორი 2.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მთლიანობაში ვერ უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა სკოლას აღნიშნული ინდიკატორი გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით, შესაბამისად სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:** შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარი (მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად); ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს ამწოვი კარადა და წყლის ონკანი. ლაბორატოიაში თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია, ასევე თვალაჩინო ადგილს იყოს განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და აფთიაქი. სკოლის მიერ გადმოზავნილია წერილი, რომელიც თარიღდება 28.01.2026 წლით და სკოლის დირექტორი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალაზრდობის მინისტრს დახმარებას სთხოვს სკოლისთვის ლაბორატორიის მოწყობაში. **ინდიკატორი 2.2.2.3 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მოსწავლეები სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	მასწავლებლები ცდილობენ ციფრული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რაც უცხოური ენის სწავლებაში მნიშვნელოვანია. ეს პირდაპირ კავშირშია სწავლის ისეთ შედეგებთან, რომელიც ციფრული წიგნიერების განვითარებას გულისხმობს და აუცილებელია მოსმენის, მეტყველების, აუდიო-ვიდეო მასალებთან მუშაობისთვის, რაც მნიშვნელოვანია კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებისთვის. **ინდიკატორი2.2.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სწავლების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური ბაზა. სასწავლო პროცესი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. სკოლას გააჩნია მუსიკალური ინსტრუმენტები და საჭირო სასწავლო ლიტერატურა, რაც ხელს უწყობს როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი2.2.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებს, ძირითად და დამხმარე რესურსს. სახელმწიფო ენის კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებში თითქმის ყველა თემაში გვხვდება ვიდეორგოლის, ანიმაციის ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნახვა განსახილველად. შესაბამისად, სკოლა კომპიუტერითა და პროექტორით უზრუნველყოფს კურიკულუმით მისაღწევი შედეგების მატერიალურ უზრუნველყოფას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა შესაძლებლობა როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსის სახით უზრუნველყოს ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში გათვალისწინებული

	სწავლის შედეგების მიღწევა მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ/ტექნიკური რესურსით რომელიც საჭიროა სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. კერძოდ, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და სხვა სპორტული ინვენტარი, რომელთა დახმარებითაც მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ შედეგებს და ამ პროცესში თანაბრად ჩართონ სკოლის ყველა მოსწავლე. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. სასწავლო პროცესი არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში. მათთვის გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.2.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლას ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობით ჰყავს 27 მასწავლებელი, დირექტორი-1; დირექტორის მოადგილე-1; სპეციალური მასწავლებელი-2; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი-0; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი-1; ბუღალტერი-1; საქმისმწარმოებელი-1; დარაჯი-1; ბიბლიოთეკარი-1; ექიმი-0; დამლაგებელი-3; მზარეული-1; სკოლის მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, არის მაგისტრი, ან მასთან გათანაბრებული. სკოლაში მუშაობს 2-მენტორი, 12-წამყვანი, 13-უფროსი მასწავლებელი. სკოლის პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. პედაგოგის შესარჩევი კომისია არის მრავალფეროვანი, კერძოდ: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი, სკოლის წარმომადგენელი. შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრს.

ინდიკატორი 2.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება გარე კონკურსის გამოცხადებაზე;
- საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ემისის ბაზა;
- საათობრივი ბადე;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- კურიკულუმები-სამივე საფეხური
- დიფერენცირებული დავალებები

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და იდენტიფიცირება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება.

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ კათედრაზე ერთად შეიმუშავებენ ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების გეგმასა და ინსტრუმენტებს, ამზადებენ რეკომენდაციებს და გამოვლენილ პრობლემაზე ორიენტირებულად გეგმავენ მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებს. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხდება. კონკრეტულად, კათდრაზე ერთად შეიმუშავებენ ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების გეგმასა და ინსტრუმენტებს, ამზადებენ რეკომენდაციებს და გამოვლენილ პრობლემაზე ორიენტირებულად გეგმავენ მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებს. ზემოაღწერილი კი განაპირობებს ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. **ინდიკატორი2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განხორციელებულ შემოქმედებითი ბუნების დავალებების რევიზიას ახორციელებენ პრობლემის გამოკვეთაზე ორიენტირებულად, ერთობლივი მსჯელობით და თანამშრომლობით იკვლევენ პრობლემის გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. აღნიშნულის მტკიცებულებაა ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტები და რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში, იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან

მიმართებით. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული უკვე არსებული პრაქტიკაა და სამომავლოდაც აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. **ინდიკატორი2.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარება და მხარდაჭერა. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი", რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გაუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების მიხედვით, რომლის თანახმად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და გასცემენ განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გაუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. მასწავლებლები, მონიტორინგსა და შეფასებას საკუთარ საქმიანობაზე, თავად ახორციელებენ გაკვეთილზე ურთიერთდასწრებით. მიღებული უკუკავშირის შედეგად ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხებზე, რომლებიც ეხმარება მათ ასახონ გაუმჯობესების გზები გადაჭრან გამოკვეთილი პრობლემები. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გაუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი. **ინდიკატორი2.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- კურიკულუმის ანალიზი;
- კათედრის ოქმები და ანგარიშები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები, ანგარიშები.
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების ამსახველი დოკუმენტები
- მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები
- სასწავლო პროცესის შეფასების დოკუმენტები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი თანაბარ ძალას ანიჭებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რაც თავის მხრივ მოიაზრებს სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით.

მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხორციელდება განმავითარებელი (I-IV და V კლასის პირველი სემესტრი) და განმსაზღვრელი (V კლასის მეორე სემესტრი -VI კლასები) შეფასების რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოებენ ჰოლისტურ შეფასებას. შეფასება არის ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა

წყაროსა და რესურსის გამოყენებით. კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა პრაქტიკა (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები) რომელიც წარმოაჩენს წყაროებს, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომლის საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს.

ინდიკატორი 2.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყველა საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა და მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად, მაგ: ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუს მიხედვით სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. ასევე, იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთა შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რაც თითოეული მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეფასების საშუალებას იძლევა. გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლები შეფასებას ახორციელებენ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინების საშუალებას, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. კერძოდ, მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, რომ მოსწავლის სწავლის დინამიკის შესაფასებლად ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს მრავალფეროვანი გზების გამოყენებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სისტემატურად იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებს. კერძოდ, გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიურება და სხვა. მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებით ადგენენ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. რისი მტკიცებულებაც ადგილზე შესწავლილი დოკუმენტებია.

რაც შეეხება მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევას, მათი თვალსაზრისით, ამ პროცესის მიზანია, შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მის მიერ შემუშავებული ინტერვენცია, სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები უზრუნველყოფს.

ინდიკატორი2.3.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით შეძლონ დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მაგალითად, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ.

ინდიკატორი 2.3.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 -სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 3 საჯარო სკოლა
- შეფასების რუბრიკები;

- კითხვარები;
- მოსწავლეთა ნაშრომები;
- კათედრის ოქმები.
- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლებს ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებული აქვთ სარეკომენდაციო პაკეტი თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, განახორციელონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისა და გაუმჯობესებისაკენ. კერძოდ, ისინი იცნობენ კონკრეტულ საკვანძო საკითხებს, რაც განაპირობებს ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებას. ესენია, მაგალითად, წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, ამ გამოცდილების გათვალისწინებით გასაზიარებელი გამოცდილება სასკოლო საზოგადოებაში, ახალი წლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ასპექტები ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე.

ინდიკატორი 2.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი რევიზიის პროცედურები იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლამ ყოველწლიურად უზრუნველყოს სასწავლო წლის შეჯამებისას შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით კურიკულუმის გაუმჯობესება. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები განიხილავენ მიმდინარე პროცესს და გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზებზე დაყრდნობით ცვლიან თავიანთ პრაქტიკას. ცვლილებების ასახვა რევიზირებულ კურიკულუმში ვლინდება სასწავლო რესურსებისა თუ მიდგომების შეცვლით/დამატებით.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორი 2.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- კურიკულუმის ანალიზი;
- კათედრის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- საგნობრივი კურიკულუმები-სამივე საფეხური
- დიფერენცირებული დავალებები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- თემატური მატრიცები- სამივე საფეხური;
- რემედიაციის გეგმა
- კომპლექსური დავალებების რეფლექსიები
- რესურსის რეფლექსია
- მკითხველთა კლუბის წესდება, სამოქმედო გეგმა და განხორციელებული აქტივობები;
- ფოლკლორული წრის წესდება, სამოქმედო გეგმა და განხორციელებული აქტივობები;
- სახელმწიფო ენის პროექტების გეგმა, რეფლექსია, ფოტომასალა;
- სასკოლო სპექტაკლის ფოტომასალა;
- მასწავლებელთა სემესტრული ანგარიში;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები;
- 2025-2026 სასწავლო წლის I სემესტრის შეფასების ვერიფიკაცია;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დებულება.
- სადიაგნოსტიკო წერის ნიმუშები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია.
-

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: